ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა ივერიელი

გამოდის 1921 წლიდან

6 აგვისტო სამშაბათი 1991 № 91 (11724)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი — ფასი 10 კაპ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება

ი. ი. მაზანაშვილის თელავის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს **იროდი იოსების ძე მაზანაშვილი** თელავის რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი.
1991 წლის 2 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

არკადი მარკოზიას სადეპუტატო უფლებამოსილების ცნობის შესახებ

ცნობილი იქნეს 1991 წლის 21 ივლისის № 96 მარტვილის საარჩევნო ოლქში არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატის **არკადი მარკოზიას** უფლებამოსილება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

თბილისი.
1991 წლის 2 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს თენგიზ სიგუას

ბატონო ზვიად!
ბატონო თენგიზ!

19-28 ივლისს საქართველოში სტუმრად მყოფ ამერიკელ ინვალიდთა დელეგაციის 22-კაციანი ჯგუფის და საქართველოს ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული ფედერაციის წევრთა სახელით მინდა ულრმესი მადლობა გამოვხატო იმ დიდი ადამიანური, მორალური და ყოველმხრივი თანადგომისათვის, რომელიც გამოიჩინა რესპუბლიკის მთავრობამ, ყველა ორგანიზაციამ და კერძო პირმა ამერიკელი სტუმრების საქართველოში მიღების პროგრამის განხორციელების საქმეში.

მინდა აღვნიშნო, რომ ამგვარ ვიზიტებს დიდი მნიშვნელობა აქვს და ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია საქართველოში მცხოვრები ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანებისათვის.

მადლიერებისა და პატივისცემის გრძნობით — ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი ძნელაძე.

აჭარის უზენაესი საბჭოს სესია

გაიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა.

მისი დაწყების წინ დეპუტატებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს აჭარის უზენაესი საბჭოს გარდაცვლილი დეპუტატების — ანზორ ცეცხლაძისა და ქალაქ ბათუმის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლის რომან კასრაძის ხსოვნას.

მას შემდეგ, რაც დეპუტატებმა მიიღეს ბლოკ „აჭარის" წინადადებანი — დღის წესრიგს დაემატოს საკითხები საპარლამენტო ფრაქციის ჩამოყალიბების შესახებ და სხვადასხვის შესახებ, სესიამ დაამტკიცა დღის წესრიგი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეთა არჩევა.

კომისიების თავმჯდომარეებად არჩეული არიან: საკანონმდებლო და კანონიერების დაცვისა — დეპუტატი ბადრი ნაკაშიძე, ეკონომიკური რეფორმის და საფინანსო-საბიუჯეტოსი — დეპუტატი თენგიზ ასანიძე, ჰუმანიტარული და სოციალური საკითხებისა — დეპუტატი ლეონიდე ძღენტი, მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობისა — დეპუტატი თენგიზ ხახვა, სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობის და ეკოლოგიისა — დეპუტატი ბადრი მელაძე. კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის თავმჯდომარის პოსტზე დაასახელეს კანდიდატურები ბლოკების „აჭარისა" და „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" აჭარის რეგიონალური ორგანიზაციისაგან. სესიამ უპირატესობა მიანიჭა ამ უკანასკნელს და კომისიის თავმჯდომარედ აირჩია დეპუტატი ცისანა ანთაძე.

მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებად ზოგიერთი კანდიდატურის არჩევის წინ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატებმა ბლოკ „აჭარისაგან" თავდაპირველად უარი განაცხადეს მონაწილეობა მიიღონ კენჭისყრაში, შემდეგ კი დატოვეს სხდომათა დარბაზი.

მიღებულია დადგენილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიათა თავმჯდომარეების არჩევის შესახებ.

მუდმივი კომისიის თავმჯდომარეებს წინადადება მიეცათ სესიის მორიგი სხდომისათვის წარმოადგინონ წინადადებანი კომისიათა და ქვეკომისიათა პერსონალური შემადგენლობის შესახებ.

სესიაზე გამოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე.

თამაზ ბენძეხაძე,
საქინფორმის კორ.

შეხვედრა უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელებთან

3 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია შეხვდა საქართველოს ეროვნული უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელებს.

შეხვედრაზე განიხილეს საქართველოს ეროვნული უშიშროების კომიტეტის საკავშირო დაქვემდებარებიდან საბოლოო გამოყოფისა და ამ შეუქცევად პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები, აგრეთვე კომიტეტის შემდგომი საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებანი. აღინიშნა, რომ დღეს ეროვნული უშიშროების კომიტეტი აღარ არის პოლიტიკური პოლიცია, მაგრამ მან დიდი როლი უნდა შეასრულოს იმპერიული ძალების მხრივ საქართველოს წინააღმდეგ მიმართული მტრული აქციების გამოვლენასა და უგულვებელყოფაში.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კომიტეტის როლს რესპუბლიკაში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, პირველ რიგში, ნარკობიზნესის გამოვლენა-აღკვეთაში.

კომიტეტის წინაშე დაისვა საკითხი, რომელთა გადაწყვეტა ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში მართლწესრიგის დამყარებას, ეკონომიკურ და სოციალურ დანაშაულთა აღმოფხვრას.

საქინფორმი.

სხვადასხვა ამბები

გამოძიება პრეზიდენტის კონტროლის ქვეშ

31 ივლისს დილის 3-სა და 5 საათს შორის თავს დაესხნენ ლიტვის რესპუბლიკის საბაჟო პოსტს მედინინკაიში. მოკლეს საბაჟო დეპარტამენტის 3 თანამშრომელი და 4 პოლიციელი. როგორც იტყვიან, მომხდარზე პასუხისმგებლობა არ იკისრა ომონმა. პირიქით, როგორც იუწყებიან, მომხდარით ძალზედ შეწუხებულია სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრი პუგო. სუკის თავმჯდომარე კრიუჩკოვი ლანდსბერგისს თავის სამსახურს სთავაზობს. გამოძიება გორბაჩოვის კონტროლის ქვეშ ჩატარდება. ვნახოთ, რა გამოვა აქედან, ამჯერად მაინც თუ იპოვიან დამნაშავეს.

ხელს არ აძლევთ სიმართლე ომის შესახებ

ფილოსოფიისა და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ცნობილი ისტორიკოსის, რსფსრ უზენაესი საბჭოს წევრის, გენერალ-პოლკოვნიკ დიმიტრი ვოლკოგონოვის ხელმძღვანელობით ისტორიკოსთა ჯგუფი მუშაობს მე-2 მსოფლიო ომის ისტორიის შექმნაზე. „ომის შესახებ სიმართლის თქმის პირველივე ცდას ასეთ დიდ ფუნდამენტურ შრომაში შეხვდა არა მეცნიერული, არამედ იდეოლოგიური კრიტიკა და აგრესიული მტრობა" —აცხადებს ვოლკოგონოვი „ნეზავისიმაია გაზეტაში" გამოქვეყნებულ ინტერვიუში. როგორც ჩანს, არიან ძალები, რომლებსაც ხელს არ აძლევს ითქვას სიმართლე მეორე მსოფლიო ომზე და მასში საბჭოთა კავშირისა და მისი წითელი არმიის „დამსახურების" შესახებ.

სად არის 20 000 ამერიკელი ტყვე-ჯარისკაცი?

კიდევ ერთი ბნელი ფურცელი გამოვლინდა „გმირული", „სამამულო" ომისა, კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტი იმისა, თუ როგორი „განმათავისუფლებელი" იყო საბჭოთა ჯარი.

1944 წელს, როცა საბჭოთა მეომრებმა დაიკავეს გერმანიისა და პოლონეთის ტერიტორიები, იქ არსებული ტყვეთა ბანაკები ასეულ-ათასობით ამერიკელი, კანადელი თუ ევროპული ქვეყნების ტყვე-ჯარისკაცებით, აღმოჩნდა საბჭოთა ოკუპაციის ზონაში. იალტის ხელშეკრულების მიხედვით, რომელსაც ხელი მოაწერეს სტალინმა, რუზველტმა და ჩერჩილმა 1945 წლის 4 თებერვალს, დასავლეთელი მოკავშირეები ვალდებულებას იღებდნენ ევროპიდან რუს ემიგრანტთა დეპორტაციის შესახებ. სანაცვლოდ სტალინმა მათ პირობა მისცა, რომ გაათავისუფლებდა საბჭოთა კონტროლის ქვეშ მყოფი მოკავშირე ქვეყნების მოქალაქეებს. მაგრამ, ტრადიციულად, საბჭოთა კავშირის სიტყვა და საქმე სხვადასხვა აღმოჩნდა. 20 000 ამერიკელ ჯარისკაცს დღესაც ელის ამერიკა. ამის შესახებ 1954 წელს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოუგზავნა ნოტა. პასუხი მეტად ლაკონური აღმოჩნდა: „...საბჭოთა კავშირში არ არიან და არც არასოდეს ყოფილან ასეთი ადამიანები". დღეს საბჭოთა კავშირის „გულაგი" არამარტო მეორე მსოფლიო ომის დროინდელ ტყვეებს „იფარებს", როგორც ირკვევა, კორეისა და ვიეტნამის ომების დროს თუ სხვადასხვა ხელოვნურად შეთითხნილი პოლიტიკური შანტაჟების დროს ტყვედ ჩავარდნილი ჯარისკაცებიც უნდა იყვნენ იქ.

ბევრი საინტერესოს პირდება სსრკ-ს ცენტრალური სახელმწიფო არქივებში დაცული დოკუმენტები, მათ შორის, ცხადია, 1940 წელს კატინის ტყეში დახვრეტილი პოლონელი ოფიცრების შესახებ. იმედია, რომ სიმართლეს ფარდა აეხდება და სრულად გამოჩნდება საბჭოთა კავშირის — მსოფლიოს „განმათავისუფლებლის" სახე.

რა ენაღვლება გ. პოპოვს

ჩვენი მკითხველი გაეცნო „ნეზავისიმაია გაზეტადან" გადმობეჭდილ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ამომრჩეველთა კლუბის წერილს მოსკოვის მერის გავრილ პოპოვისადმი, სადაც ისინი პროტესტს გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ საქართველოს კომპარტიის ცკ-ს ყოფილი მეორე მდივანი, 9 აპრილის სისხლიანი ამბების ერთ-ერთი ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი ბორის ნიკოლსკი ინიშნება მოსკოვის ვიცე-პრემიერად. № 90 „ნეზავისიმაია გაზეტაში" დაიბეჭდა გ. პოპოვის პასუხი და თვით ბ. ნიკოლსკის წერილი. როგორც გ. პოპოვის წერილიდან ჩანს, მას სჭირდება ორგანიზატორი და ძალზედ ნაკლებად აღელვებს ბ. ნიკოლსკის სისხლიანი წარსული. რაც შეეხება ბ. ნიკოლსკის, ის თავისი წერილით კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ასრულებდა ცენტრის დავალებას.

კიდევ ერთი სასწრაფო დახმარება

მოსკოვში სასწრაფო-სამედიცინო დახმარების, მილიციისა და სხვა გადაუდებელ სამსახურებთან ერთად, ამიერიდან იფუნქციონირებს კიდევ ერთი სასწრაფო სამსახური — სპირტიანი სასმელებით მოვაჭრე მაღაზიები. შედეგად, საგრძნობლად გაუმჯობესდა სასწრაფო-ალკოჰოლური დახმარება. ამან გარკვეულად გააიაფა ეს სამსახური შავ ბაზარზე. თუ სახელმწიფო 30 მანეთად ყიდის „პოლიტროვკას", ხელზე მას უკვე 25 მანეთად იშოვით.

გვამის ამოცნობისას

31 მაისს დილის 8 საათზე ჩერნიახოვსკის საქალაქო მილიციას უცნობმა პირმა ტელეფონით შეატყობინა, რომ პიონერის ქუჩაზე გდია ჯარისკაცის გვამი. მილიციისა და ექიმ-ექსპერტთა ჯგუფები დაუყოვნებლივ გაეშურნენ შემთხვევის ადგილისაკენ. მედმუშაკებმა სასწაული მოახდინეს: რამდენიმე წუთის შემდეგ გვამი გაცოცხლდა, გადარჩენილი სასწრაფოდ წაიყვანეს... გამოსაფხიზლებელში.

(დასასრული მე-2 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვადასხვა ამბები

(დასასრული)

შედგება თუ არა აბორდაჟი?

ვლადივოსტოკის საქალაქო საბჭოს სესიამ გააუქმა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება ვლადივოსტოკში ტექნიკური მიზეზებით გაჩერებული ნებისმიერი გემის ტვირთის კონფისკაციის შესახებ. მიზეზი უბრალო იყო — საპასუხოდ მეზობლები, ტვირთის პატრონები შეგვიწყვეტენ სათბობისა და ელექტროენერგიის მოწოდებასო. აღმასკომის გადაწყვეტილებას სრულიად სამართლიანად მხარის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მასობრივი ფსიქოზის დასაწყისი უწოდა. მაგრამ, როგორც ირკვევა, აღმასკომი არ ნებდება და პორტში შესული გემების გასაძარცვავად უკვე დაიწყო მუშათა რაზმების ფორმირება. როდის დაიწყება გემების შტურმი და ამ გადაწყვეტილებას როდის გაავრცელებს აღმასკომი რიგით მოქალაქეებზე, არავინ იცის. ყოველ შემთხვევაში, ვინც გატენილი ჩემოდნებითა და ჯიბეებით აპირებს ვლადივოსტოკში ჩასვლას, ვურჩევთ ნუ იჩქარებს.

სექსუალური მომსახურება.. ტელეფონით

გალინა — ასე ჰქვია ქალბატონს, რომელსაც შეგიძლიათ დაურეკოთ დღე-ღამის განმავლობაში. ის შეასრულებს ნებისმიერ თქვენს მოთხოვნას... ტელეფონით. გამოიყენება ისეთი გამომსახველი საშუალებები, როგორიცაა სიტყვა, კვნესა, ფხაკუნი ყურმილზე და ა. შ. ეფექტი კლიენტის ფანტაზიაზეა დამოკიდებული. მსგავსი სექსუალური მომსახურება, ცხადია, საათანადო ანაზღაურებით ხდება.

პავლოვის ბრძელი ენა

საკმარისი იყო, რომ სსრკ პრემიერს ვალენტინ პავლოვს საჯაროდ წამოსცდენოდა, ამ წელს ორჯერ მეტი მარცვლეული უნდა ვიყიდოთო, რომ მსოფლიო ბაზარზე მისმა (არა პავლოვის, არამედ მარცვეულის) ფასმა აიწია, როგორც ჩანს, ძვირად დაუჯდება საბჭოთა კავშირს პავლოვის გრძელი ენა.

გაასამართლებენ შეპარდნაძეს?

პერმში შეიქმნა კომუნისტ-რეფორმატორთა პარტიული კლუბი, რომელიც მხარს უჭერს „მოძრაობას დემოკრატიული რეფორმებისათვის". ამავე დროს, კომუნისტ-ლენინელთა ლენინგრადის საინიციატივო ყრილობის მონაწილეებმა პერმის ოლქიდან მოითხოვეს სკკპ-ში განხეთქილების შეტანისათვის პარტიულ სასამართლოს გადასცენ ალექსანდრე იაკოვლევი, ედუარდ შევარდნაძე და არკადი ვოლსკი.

ახალშობილის სახელზე

შვეიცარიის ქალაქ დენიკონის მერიის შენობის წინ სამი ფლაგშტოკია. თუ პირველზე აიწევა დროშა, ე. ი. ქალაქში ბიჭი დაიბადა, შუა დროშის აწევა გოგოს დაბადებას გვამცნობს. მესამე ფლაგშტოკზე იშვიათად ფრიალებს დროშა — ის ტყუპების დაბადებას აუწყებს. დროშები ახალ დაბადებულთა სახელზე სამ დღეს ფრიალებს.

დეგილების რაოდენობა იზრდება

ასეთი დასკვნა გააკეთეს რიგაში ლატვიის სამედიცინო სამსახურის სპეციალისტებმა. გამოკვლევებმა ცხადჰყო, რომ უკანასკნელი 25-30 წლის განმავლობაში ფიზიკურად და გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვთა რაოდენობა სამჯერ გაიზარდა. თუ ასე გაგრძელდა, 30 წლის შემდეგ ლატვიის მოსახლეობის დაახლოებით სამმა მეოთხედმა შეიძლება დაკარგოს ინტელექტუალური ამოცანების გადაწყვეტის უნარი. მედიკოსები ამტკიცებენ, რომ ეს შემაშფოთებელი ტენდენცია მთელ სსრკ-ში შეინიშნება.

ვინ როგორ ხედავს

ლონდონში შვიდეულისა და პლუს ერთის შეხვედრა დამთავრდა ისე, როგორც უნდა დამთავრებულიყო — ასე განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ. აოსერიოზულობა იყო დიდი კრედიტების ლოდინი. [illegible] ჩვენ რაოდენიც არ ენდა აგვეღო, კოტაკეტული რეზულტატები არ ჩანდა, ამიტომ დავიბრუნეთ [illegible]

ბავლეთის ლიდერები სწორად მოიქცნენ, გვითხარით თქვენი კონცეფცია, რა რეფორმებს აპირებთ, სად წავა ჩვენი ინვესტიციები, შემდეგ ვითანამშრომლებთო. ეს შევარდნაძის აზრია, ეს კი „მეგაპოლის-ექსპრესის" მხატვრის ა. შახგელდიანისა, ოდონდ გრაფიკულად გამოსახული.

ახალი ავადმყოფობა

ალტაის მხარის სოფელ ვილეკაში რეგისტრირებულია ბავშვთა უჩვეულო ავადმყოფობის ორი შემთხვევა. ავადმყოფთა სისხლში აღმოაჩინეს ნიტრატების შენაერთები, ორგანოში რომლის გახსნის შედეგად სხეული იღებს ლურჯ ფერს.

წერილი რედაქციას

რამდენად სწორად იქცევიან, როცა არმიაში იწვევენ ახალგაზრდა, სოციალურად დამოქალაქეობრივად მოუმწიფებელ ბიჭებს, რომელთა დამუშავება პოლიტიკურადაც არაა ძნელი და შემდეგ მშვიდად შეიძლება ამ ჯარისკაცებით მანიპულირება. ეი საიდანაა თბილისი, ვილნიუსი, ბაქო.

ქრონიკა

სამხედრო სასწავლებლების 227-მა კურსდამთავრებულმა უარი თქვა სამხედრო სამსახურზე იმ მიზეზით, რომ არ უნდათ იმსახურონ „ცხელ წერტილებში".

●

თბილისის კომენდატურაში გამოცხადდა ეროვნებით უზბეკი ჯარისკაცი საბიდ ჯარიევი, რომელიც ამხანაგებთან ერთად გაიქცა სოხუმისკენ მიმავალი მატარებლიდან. მისი სიტყვებით, ნაწილის ხელმძღვანელობამ გამოუცხადა ჯარისკაცებს, რომ ისინი მიჰყავთ აფხაზეთში მიმდინარე საომარ შეტაკებებში მონაწილეობისათვის.

●

მხოლოდ შესვლა კომერციულ მაღაზია „ვეროლა"-ში (დნეპროპეტროვსკი) 50 კაპიკი ღირს, ამდენივე ჯდება ქალაქის სასაფლაოზე მოხვედრა.

●

ამერიკელების დაკვეთით საბჭოთა წყალქვეშა აპარატებმა შეისწავლეს ატლანტიკის ოკეანეში ჩაძირული ლეგენდარული „ტიტანიკი". დამკვეთი კმაყოფილია, საბჭოთა მკვლევარებმა პირველებმა აღმოაჩინეს ის, რაც აქამდე ვერავინ ვერ შესძლო. ეგაა მხოლოდ, თუ რა აღმოაჩინეს, ჯერჯერობით საიდუმლოა.

●

საბერძნეთის სექს-ბიზნესში ყველაზე იაფი, როგორც ჩანს, არის საბჭოთა მეძავი, მაგრამ 27 წლის ნატაშა კ-მ მაინც შესძლო დაეგროვებინა ნახევარი მილიონი დრახმა (12,5 ათასი დოლარი).

„მეგაპოლის ექსპრესის", „მოსკოვსკიე ნოვოსტის", „ნეზავისიმაია გაზეთასა" და „კომსომოლსკაია პრავდას" მიხედვით

საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს ბატონ ვახტანგ რაზმაძეს

მიმდინარე წლის 25 მაისს გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ" გამოაქვეყნა სამი წერილი უზენაესი საბჭოს წევრის, პროფესორ ნოდარ ნათაძის შესახებ.

ამჟამად ნაკლებად საინტერესოა, თუ რაოდენ სამართლიანი იყო ამ მასალების გამოქვეყნება საპრეზიდენტო არჩევნების წინა დღეს. თუმცა საგულისხმოა, რომ „კანონი უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ" არჩევნებამდე ორი დღით ადრე ყოველგვარ პროპაგანდას კრძალავს, „პრეზიდენტის არჩევნების კანონი" კი ასეთ აკრძალვას არ შეიცავს. ამ კანონისმიერ შეუსაბამობათა გასწორება ალბათ მომავლის საქმეა.

თქვენს ყურადღებას არც ამ პუბლიკაციების ზნეობრივი მხარეს მივაპყრობთ. კარგად მოგეხსენებათ, რომ 24 მაისს ბ-მა ნოდარმა დაკრძალა დედა, რომლის გარდაცვალება სწორედ „საქართველოს რესპუბლიკამ" აუწყა ფართო საზოგადოებას. დაუჯერებელია, რომ რედაქცია არ გრძნობდა საკუთარ სისასტიკეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ადამიანური მხარე პოლიტიკურ ინტერესთან შედარებით მეორეხარისხოვნად მიიჩნია.

არ შევჩერდებით ამ პუბლიკაციების შინაარსზეც. მათი უსაფუძვლობა დამაჯერებლად დაასაბუთა თვითონ ბ-ნმა ნოდარ ნათაძე.

„ეს ის, რომ პუბლიკაციებს ერთი კრთი მიზანი ჰქონდა — პრეზიდენტობის კანდიდატის დისკრედიტაცია ამომრჩეველთა წინაშე, რომლის განსახორციელებლად გაზეთი არ მოერიდა არც დაწერილ, არც დაუწერელ ნორმებს.

გენერალური პროკურორის ყურადღებას შევაჩერებთ ერთ გარემოებაზე. წერილში, რომელიც ზ. ყულოშვილის, ვ. პაპიაშვილის და სხვათა ხელმოწერითაა გამოქვეყნებული, ბ-ნ ნოდარ ნათაძეს ამხელენ, ზოგადად რომ ვთქვათ, კორუფციაში. თითქოს იგი „საგებლობდა რა საქართველოს მთავრობის ინგილოებისადმი დახმარებით... საკუთარი ინიციატივით ახლო კონტაქტში იყო რექტორებთან და სარგებლობდა რა თავისი მამის და თავისი სახელით, ჩაჭრილ ინგილოებს დახმარებას უწევდა და ამით, როგორც ბოლოს აღმოჩნდა, ხელს ითბობდა". საგულისხმოა, რომ წერილში, რომელსაც თურმე 1006 ხელმოწერი აწერს ხელს, კორუფციისა და მექრთამეობის მამხილებელი ზოგადი ფრაზები მოტანილია ვიღაც ბაჩალიაშვილის წერილიდან, რომელიც ამ 1006 ხელმოწერს შორის ალბათ არ იხსენიება.

ბ-ნმა ნოდარ ნათაძემ თავის ზემოთხსენებულ წერილში ახსნა, თუ როგორ გაჩნდა ეს 1006 ხელმოწერი, გამოქვეყნდა თავად ხელმოწერთა განმარტებები, საიდანაც ნათელი უნდა იყოს, რომ წერილი ინსპირირებულია და ცილისმწამებლურია.

პატივცემულო გენერალურო პროკურორო! კარგად მოგეხსენებათ, რომ დანაშაული, რომლის ჩადენაშიაც პუბლიკაციის ინსპირატორები ცილს სწამებენ უზენაესი საბჭოს წევრს, პროფესორ ნოდარ ნათაძეს, განეკუთვნება მძიმე დანაშაულთა კატეგორიას. მოგახსენებთ აგრეთვე, რომ ცილისწამება, რომელსაც აქვს განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა და რომელსაც თან ერთვის ბრალდება მძიმე დანაშაულში, არ არის კერძობრალდების საქმე. ვინაიდან გამოაშკარავებით დაინტერესებულია არა მხოლოდ დაზარალებული, არამედ საზოგადოება, სახელმწიფო. შემთხვევითი როდია, ასეთი საქმის აღძვრის უფლება აქვს პროკურორს, კანონის ენით რომ ვთქვათ, „თუნდაც დაზარალებულის საჩივრის არარსებობის შემთხვევაში".

გთხოვთ, დაადგინოთ ჭეშმარიტება ამ საქმეზე, რასაც ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობა ექნება ერთი მხრივ ადამიანის შელახული ღირსების, მეორე მხრივ, პრესისა და სიტყვის თავისუფლების დაცვის მომავალი გარანტიების თვალსაზრისით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატები, ფრაქცია — დემოკრატიული ცენტრის წევრები:
დავით არეშვაძე
დავით ბერძენიშვილი
აკაკი გოგოხიძე
რომან გოცირიძე
თამაზ დიასამიძე
პაატა კოლუაშვილი
გივი ლობჟანიძე
თედო ნინიძე
ანზორ სიმინავა
ელდარ შენგელაია.

ახალი წიგნები

„დიდი და ძნელი გამოცდები"

„უჭკვო... ფიქრია, მხოლოდ ის, ერთადერთი და განუმეორებელი ხაოცრება, ყველა ხსოვნითვის უცნობი და დაფარული, რომელშიც შეგიძლია შეიყუყო და განმარტოვდე... მაგრამ ვერც ფიქრში ვერ განერიდები ამ ქვეყანას. ცხრა საკეტით დაკლიტული ცხრა კეტის იქით მაინც ისმის ხმები... ეს ხმები თავად შენში დარჩენილი ეკოა ქვეყნის ხმაურისა, მაინც გრძნობ ტკივილს.... რადგან იმ ფესვებს გაჰრიან, ქვეყანაში რომ გაქვს გადგმული", ასე იწყება ცნობილი კრიტიკოსის კობა იმედაშვილის ახალი წიგნი „დიდი და ძნელი გამოცდები".

ბატონ კობას ამ წიგნში ბოლო სამი წლის მონაგარი აქვს შეტანილი. ბევრი მათგანი გამოქვეყნებულია, ბევრიც მიტინგებსა და რადიო-ტელევიზიაში გამოსვლისას არის წარმოთქმული.

თითოეულ მათგანს დღევანდელობ[illegible] აზის და, რაც მთავარია, შენარჩუნებული აქვს აქტუალობა, იკითხება დიდი ინტერესით.

წიგნი სამი განყოფილებისაგან შედგება — „ცხოვრება", „ლიტერატურა", „მემორიალი".

წიგნის ტირაჟია 10000 ცალი. გამოვიდა ავტორის ხარჯით.

„მინდა ღ[illegible] ვახლდე მარადის"...

ალბათ, ყველას გახსოვთ ლადო ასათიანის ლექსი „უცნობი პოეტის რვეულიდან". „შენ როცა ამ წიგნს ხელში აიღებ, ცოცხალთა შორის მე არ ვიქნები, მაგრამ, კეთილო, მიხვდი, გაიგე ადრე წასული კაცის ფიქრები". —სწორედ ეს სტროფი გამახსენა თენგიზ გოგიტიას მომცრო კრებულმა. საოცრად ლამაზი ღიმილით გვიმზერს ახლა იგი ყდაზე გამოსახული ფოტოდან...

თენგიზი, 28 წლისა, ტრაგიკულად წავიდა ამ სოფლიდან. დატოვა მშობლები, ცოლ-შვილი, ახლობლები, მეგობრები და გაუნელებელი სევდა. კრებულში, რომლისთვისაც „ყოველ საღამოს" დაურქმევიათ, შესულია იმ ლექსების ნაწილი, 17-18 წლისამ რომ დაწერა.

როდესაც „ადრე წასული კაცის" წიგნს გადაშლი, უნებურად, მასში რაღაც განსხვავებულ სათქმელს დაეძებ, რაღაც წინასწარმეტყველურს. ამ მხრივ თენგიზ გოგოხიას ლექსებში ერთი რამ აშკარაა: 1979 წელს დაწერილ მის სტრიქონებში უკვე ნაგრძნობია სამშობლოს ის ჭირ-ვარამი, ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ბოლო სამ წელს რომ დაგვანახა:

„განა ჩემს იდეებს დღეს
არვინ არ ბოჭავს?!
განა ჩემს წინაშე არვინ არ
სცოდავს?!
განა ჩემს სამშობლოს
არვინ არ ჯობავს?!
განა საქართველოს
დღეს არვინ არ თოკავს?!

ამასთანავე, პოეტი არსად არ კარგავს იმედს... იმედს, საქართველოს ბედნიერებისა:

„სულ მალე, მალე, შენ
დაინახავ,
თავისუფლება ქვეყანას
შეძრავს"...

წუთისოფლის ამაოების განცდა უცხო არ არის პოეტისათვის. არაფერია მუდმივი, არც ბედნიერება, არც უბედურება, არც სილამაზე, არც სიმახინჯე... წარმავლობის ჭარი არაფერს დაინდობს:

...და მაინც, თენგიზ გოგოხიას ხანმოკლე ცხოვრებაში იყო ნათელი წერტილიც — თავისი პატარა გიორგი, „პატარა ბუშუკელა" — მისივე სიტყვებით. კრებულის ბოლო ფურცლებზე შვილისადმი მიძღვნილ ლექსს ამოიკითხავთ:

...„მხიარული და უსევდო
მაგას არ. მოსწონს არავინ...
არის მზისა და მთვარისა,
ვარსკვლავეთს უდგას კარავი".

როგორც წიგნის ანოტაციაშია ნათქვამი, ღმერთმა გზა გაუკვლიოს ამ წიგნს მკითხველთა გულებამდე.

რუსუდან ბაგოშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცდები

ძალზე ცხელი ზაფხულია. თბილისში დარჩენილებს ლამის სული ამოგვხდეს, მაგრამ ეს სიცხე რა მოსაგონია მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებულ ციებ-ცხელებასთან.

წელს, როგორც ამბობენ, ობიექტური გამოცდებია. თუმცა ამას სულაც არ შეუმცირებია საპროტესტო განცხადებები. იყო პროტესტის უკიდურესი ფორმის — შიმშილობის მცდელობაც (რამაც გასულ წელს ასე შეგვაწუხა და აგვაფორიაქა მთელი რესპუბლიკა), თანაც... ფასიანი უნივერსიტეტის აბიტურიენტებისაგან...

მოკლედ, საგამოცდო ვნებათაღელვანი ახლა კულმინაციას აღწევს, სულ მალე კი გაირკვევა, ვინ აღმოჩნდა სტუდენტობის ღირსი და... ამის შემდგომ იწყება მთავარი — თავაუღებელი სწავლა, რადგანაც მომავლის საქართველოს პროფესიონალები სჭირდება და არა დიპლომიანები...





სურათებზე: 1-2. გამოცდები თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.
3-4. გამოცდები საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

მალხაზ დათიკაშვილის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გამოცდები

კონტაქტები

სპონსორად საქართველოს ხელისუფლება

უკანასკნელ ხანს საქართველოდან ინტენსიურად იგზავნებიან საზღვარგარეთის სხვადასხვა სასწავლებლებში ახალგაზრდები. ჩვენთანაც ბევრი უცხოელი სტუდენტი ჩამოდის, ასე რომ, საქართველოს კონტაქტები სასწავლო დარგში დღითიდღე ფართოვდება. ამასთან ერთად, ისიც უნდა ითქვას, რომ ე. წ. სტუდენტების გაცვლა ძირითადად ამერიკის კოლეჯებითა და უნივერსიტეტებით შემოიფარგლება. ჩვენდა საამაყოდ, ყველა ჩვენი სტუმარი — სტუდენტიც და პედაგოგიც — ერთნაირად აღნიშნავს, რომ საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში ინგლისური ენის შესწავლის სკოლა ძალზე ძლიერი და ფუნდამენტალურია. და რა პარადოქსულია, რომ თავად ამ ენის სამშობლოში არც ერთი ქართველი სტუდენტი არასოდეს ყოფილა, სხვა პროფესიაზე რომ არაფერი ვთქვათ, უშუალოდ ინგლისური ენის სრულყოფილად დასაუფლებლად მივლენილი...

რამდენიმე თვის წინ ამ ქვეყნისაკენ მიმავალ გზაზე ქართველი სტუდენტებისათვის მწვანე შუქი აინთო: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებობის მანძილზე პირველად მოხდა დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტებისა და ინგლისელი სტუდენტ-ლექტორების ჯგუფური გაცვლა. ყველაფერი კი ასე დაიწყო: 1988 წელს ევროპის პედაგოგთა საკონსულოდან საქართველოში, კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მოვლინებულ იქნა ლონდონელი მასწავლებელი დევი დროუსონი, რომელიც ისე მოიხიბლა აქაურობით, რომ თავისი ერთწლიანი მივლინება საკუთარი სურვილით კიდევ 3 წლით გააგრძელა. რასაკვირველია, ყველა მისმა სტუდენტმა იცოდა, რომ მას დამთავრებული ჰქონდა ქალაქ ქოვენთრის ვორიკის — ინგლისის ძველ უმაღლეს სასწავლებლებს შორის ყველაზე „ახალგაზრდა“ უნივერსიტეტი (დაარსებულა 1964 წ.), მაგრამ დღესდღეობით ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლადაა მიჩნეული. წლევანდელმა, ახლა უკვე კურსდამთავრებულებმა, თავიანთ ინგლისელ პედაგოგს სთხოვეს ვორიკის უნივერსიტეტისათვის მათი წერილები გადაეცა, სადაც ისინი გამოთქვამდნენ ინგლისელ პროფესორ-მასწავლებელთა ლექციების მოსმენისა და თანატოლთა გაცნობის უდიდეს სურვილს, პასუხმა დიდხანს არ დააყოვნა და ქართველ სტუდენტთა 7-კაციანი ჯგუფი, კათედრის უფროსი მასწავლებლის ჯანიკო სირიას ხელმძღვანელობით, 2 კვირით ინგლისში გაემგზავრა.

ჩასვლიდან პირველ კვირას ისინი ისმენდნენ ლექციებს ინდივიდუალურად არჩეულ საგნებში. მეორე კვირა კი მთლიანად მასპინძლების ინიციატივით დაგეგმილ ექსკურსიებს დაეთმო და ქართველ სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ თვალნათლივ აღექვათ ის, რასაც წლების მანძილზე გონებით დასტრიალებდნენ: ოქსფორდი, კემბრიჯი, ლონდონი, ქოვენთრი, სტრადფორდი, ვინძორი...

ის დღე კი, როდესაც ქართველი ახალგაზრდები იტონის კოლეჯში — დიდი ბრიტანეთის ამ ყველაზე პრესტიჟულ სასწავლებელში — სადილზე მიუწვევიათ, მართლაც ყველაზე გამორჩეული და დაუვიწყარი ყოფილა. ინგლისის არისტოკრატ ვაჟთა სკოლაში, რომელიც მეფე ჰენრი VI 1440 წელს დააარსა, თურმე დღესაც ძველისძველი ხის მერხები დგას, ხის კედლებზე, სადაც ტრადიციულად კოლეჯის ყველა მოსწავლე საკუთარ გვარ-სახელს ჰრიდა, ახლაც გარკვევით იკითხება — შელი, ბაირონი, თეკერეი... აქ დღესაც მხოლოდ მილიონერების 13-დან 18 წლის ვაჟები სწავლობენ, და მაინც, მრავალ საოცრებათა შორის სტუმრები ყველაზე მეტად იმან გააოცა, რომ იტონის კოლეჯის 200 მამაკაც პედაგოგს შორის ქალი მხოლოდ ორია... ეს იმ ქვეყანაში, სადაც 11 წლის მანძილზე სახელმწიფოს შეუცვლელად მართავდა რკინის ლედი...

ვორიკის უნივერსიტეტიდან საპასუხო ვიზიტით სექტემბერში ჩამოვა 9-კაციანი ჯგუფი. ძირითადად არქეოლოგები და ისტორიკოსები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქართველოს წარსულით. მათ სურთ მოინახულონ ვანის გათხრები, ჩვენი არქიტექტურული ძეგლები, ეკლესია-მონასტრები, ციხე-ნანგრევები, ნაქალაქევები. სტუმრებიდან ორი ქართველი სტუდენტებისა და ლექტორებისათვის წაიკითხავს ლექციებს ინგლისის ისტორიაზე. მათგან ერთს — პროფესორ იან სმიტს — განსაკუთრებული სიხარულით ელიან ქართველი ახალგაზრდები: იგი ხომ ის გულმოდგინე ინგლისელი მასპინძელია, რომელმაც თბილისელთა ჯგუფისათვის მიკროავტობუსი გამოყო, მერე საჭესთან თავადვე დაჯდა და ექსკურსიამძღოლობაც სიამოვნებით იკისრა...

ინგლისში ქართველ სტუდენტთა პირველი გასვლის ამბავი, რაც არ უნდა მოკლედ გიამბოთ, ამით მაინც არ ამოიწურება. მოვუსმინოთ ამ ჯგუფის ერთ-ერთ წევრს **თამაზ მერაბიშვილს:**

— ერთ დღეს სტუმრად მიგვიწვია როტარის კლუბმა. ეს გახლავთ მსოფლიოში კარგად ცნობილი საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელიც შეფობას უწევს უცხოელ სტუდენტებს. საუბრისას მასპინძლები გვეკითხებოდნენ, თუ რა უფრო მოგვეწონა, რას ვისურვებდით, რა იყო ჩვენი ნატვრა. შეთანხმებულებივით ყველა ერთ პასუხს ვაძლევდით: ირგვლივ ყველა და ყველაფერი საუცხოოა, რომ ვისურვებდით იქ კიდევ ერთხელ მაინც ჩასვლას, და რაც მთავარია, ამიერიდან ყველა ჩვენგანის ნატვრა იქნებოდა ვორიკის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება.

იმ საღამოს, ვახშამზე გავიცანი კლუბის წევრი პიტერ ჰარისი. იგი ფილატელისტი აღმოჩნდა და მოკრძალებით მთხოვა საქართველოში დაბრუნების შემდეგ მისთვის გამეგზავნა საბჭოთა მარკები. თბილისში ჩამოსვლისთანავე ჩემს ინგლისელ მასპინძელს თხოვნა შევუსრულე. ამის მერე, ძალიან მალე, ვორიკის უნივერსიტეტიდან მომივიდა მიმართვა, რომლის მიხედვითაც უფლება მეძლეოდა აღნიშნულ სასწავლებელში სწავლა გამეგრძელებინა 1 წლით, ოღონდ, ეს იმ შემთხვევაში, თუ ვიშოვიდი სპონსორს. მთელი იქ ყოფნის მანძილზე ვორიკის უნივერსიტეტი გადამიხდიდა სტიპენდიას, ამ ერთწლიანი კურსის გავლისა და გამოცდების ჩაბარების შემდეგ კი მომეცემოდა ლიცენზია, რომლის მფლობელსაც უფლება ეძლევა ასწავლოს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში.

საქმე ის გახლავთ, რომ ვორიკის უნივერსიტეტში სწავლა ყველა ინგლისელისათვის უფასოა, მაშინ, როცა განურჩევლად ყველა უცხოელისათვის იგი ფასიანია. მე უნდა გადამეხადა დაახლოებით 9 ათასი გირვანქა სტერლინგი. ცხადია, ასეთ ხელგაშლილობას პირადად მე ვერავის მოვთხოვდი, ამაზე ფიქრიც კი ზედმეტად მიმაჩნდა... ამ სჯოცნებო, მაგრამ, სამწუხაროდ, „ძვირადღირებული“ მიწვევის ამბავი ბევრმა გაიგო — უცხომაც და ახლობელმაც, მათ შორის ტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორმა, ქალბატონმა მერი რეხვიაშვილმა, რომელმაც თხოვნით მიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ბატონ ბორის კალანდიას, დახმარება აღმოეჩინათ ჩემთვის. ბატონი ბორისი გაეცნო ჩემს „საქმეს“ და... საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩემი სპონსორობა იკისრა. მე, რაღა თქმა უნდა, მაშინვე ვუდეპეშე ამის თაობაზე ვორიკის უნივერსიტეტს და ახლა უკვე მოუთმენლად ველი იქ გამგზავრებას...

ვფიქრობ, საქართველოს ხელისუფლება ღირსეულ ახალგაზრდას გაუწევს სპონსორობას, რადგან თამაზის თვალებში მონდომებასთან ერთად კეთილსინდისიერება და უდიდესი პასუხისმგებლობა ამოვიკითხე. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს...

ნინო კლარჯეიშვილი

სურათზე: თბილისელი სტუდენტები თამაზ მერაბიშვილი და ქეთი ხუციშვილი პროფესორ იან სმიტთან ერთად კემბრიჯში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოხმაურება

უშგული შველას ითხოვს



ჩვენი გაზეთის 9 ივლისის ნომერში არქეოლოგმა ნოე აფხაზავამ ძეგლებისადმი ახალგაზრდობის დამოკიდებულების მეტად საგულისხმო ასპექტები წარმოაჩინა. ამჯერად გთავაზობთ გამოხმაურებას, რომლის ავტორია სოსო ნიჟარაძე, ახალგაზრდა ინჟინერ-მშენებელი, გარდაბნის რაიონის 37-ე მოძრავ-მექანიზებული კოლონის ოსტატი.

საქართველოს მაღალმთიანმა მხარემ — სვანეთმა ისტორიისა და კულტურის მრავალი სწორუპოვარი ძეგლი — ციხე-კოშკი და სხვა საგანძური შემოგვინახა.

საგულისხმოა, სვანეთს თავს დასტეხია ათასი სტიქიური უბედურება, რომლის დროსაც დანგრეულა ძველი თუ ახალი საცხოვრებელი კომპლექსი, ციხე-კოშკები კი ამ დროს არ შერყეულან, პირიქით, ისინი იცავდნენ ადამიანებს. და კიდევ, ეს ციხე-კოშკები უკეტავდნენ გზას ჩრდილოეთიდან შემოსულ მტერს; ერთი სიტყვით, არასდროს, არავის და არაფრის წინაშე ქედი არ მოუხრიათ. გამონაკლისია მხოლოდ XIX საუკუნის ის ავბედითი დღეები, როცა რუსეთის იმპერიის დამსჯელმა რაზმმა სოფელ ხალდეს 11 კოშკი ზარბაზნებით მიწასთან გაასწორა. 30-იან წლებში სოფელ უშგულში (კერძოდ კი ჩაჟაში) კოლექტივიზაციის მომხრეებმა, ფერმის აშენების მოსურნეებმა დაანგრიეს ოთხი ციხე-კოშკი. ცნობილია, აქედან ორი თამარ მეფის სახელთან იყო დაკავშირებული, ორიც საგვარეულო ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა. მეხუთე კოშკს კი კუთხე შეაჭრეს (შეამზადეს ასაფეთქებლად), მაგრამ გულშემატკივარი მოსახლეობის ძალისხმევით როგორღაც დაღუპვას გადაურჩა და გვერდებშელეწილი დღესაც ყურადღებას იქცევს...

გავიდა დრო: ჭეშმარიტი მამულიშვილების მეცადინეობით 60-იანი წლების მიწურულს უშგულის ერთი ნაწილი — ჩაჟაში ეროვნულ მუზეუმ-ნაკრძალად გამოცხადდა, ხოლო საქმის წარმართვა რესპუბლიკის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მესვეურებს დაეკისრათ. სწორედ აქედან იწყება ჩაჟაშის აღდგენის ძალზედ გაჭიანურებული პროცესი. კერძოდ, სოფლის დღევანდელი სურათი ასეთია: უყურადღებობით დაინგრა კიდევ ორი ციხე-კოშკი და რამდენიმე სვანური საცხოვრებელი სახლი (დარბაზ-მაჩუბი). მუზეუმის შენობა (კოშკი), სადაც დღეს ეროვნული საგანძურია გამოფენილი, თავისი კონსტრუქციული და კომუნიკაციური გადაწყვეტით, მართლაც რომ იშვიათობას წარმოადგენდა.

სამწუხაროდ, ეს მრავალ საუკუნე გამოვლილი უნიკალური შენობა უკანასკნელ წლებში სამჯერ ჩაინგრა (მხედველობაში მაქვს სახურავი, რამაც სართულშუა გუმბათოვანი გადახურვებიც თან ჩაიტანა), რის შედეგადაც მან მთლიანად დაკარგა თავისი განუმეორებელი სახე და დღეს ფაქტობრივად ჩონჩხია დარჩენილი. ვფიქრობ, მისი აღდგენაც მომავლის საქმე უნდა გახდეს.

უდავოდ უნდა აღინიშნოს ის პოზიტიური ძვრებიც, რაც მომავლის იმედს უსახავს სოფელს — აშენდა ერთი სვანური საცხოვრებელი სახლი, განახლდა რამდენიმე კოშკისა და სახლის სახურავი, მაგრამ სამუშაოები ისე ცუდად იყო შესრულებული, რომ სახურავების უმრავლესობა ისევ ჩაინგრა.

სოფელ უშგულს, მიუხედავად ყველაფრისა, დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, პირიქით, იგი კიდევ უფრო აღვივებს ეროვნული სიამაყის გრძნობას, აღდგენა-განახლების ჟინით ალანთებს თვითმხილველს.

ქართველი კაცი, ღირსეულ წინაპართა ნახელავს იმედია არასდროს გასწირავს. სწორედ ეს მაგიური სიძლიერე მოგვყვებოდა ისტორიის ქარტეხილებში. დღევანდელი თავისუფლების წყურვილით ანთებული ქართული სულიც ამ ძალის ნაყოფია.

დღეს ეროვნულმა თვითშეგნებამ მთელი სიძლიერით გაშალა თავისი ფრთები, არც ისე შორსაა ქართველი კაცის სანუკვარი ოცნების ასრულება.

მაშ, დავანახოთ მოწინავე მსოფლიოს ქართული სახე. როგორც თავისუფალი, კულტ... ლი, უძველესი ცივილ... ციის მქონე ერი...

ვფიქრობ, თავი [illegible] დამოუკიდებლობისა [illegible] კოლაში განსაკუთრებ [illegible] აკისრია ძეგლთა დაცვის მთავარ [illegible] მმართველოს, სწორედ მი [illegible] შემოქმედებით უნარსა და პოტენციურ შესაძლებლობაზეა დამოკიდებული სოფელ უშგულის, როგორც ეროვნული მუზეუმის, აღდგენის საქმე.

უდაო ჭეშმარიტებაა, ნებისმიერმა ქართველმა და საქართველოს ტკივილებით შეწუხებულმა არაქართველმა მთელი ძალისხმევით უნდა აკეთოს თავისი პროფესიული საქმე.

და მეც, როგორც პროფესიით ინჟინერ-მშენებელი, ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოს მივმართავ თხოვნით, ჩაგვაყენოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა სამსახურში.

აქვე უნდა ითქვას, მარტო არ ვარ, მრავალი ახალგაზრდა სპეციალისტი ჩემს გვერდითაა.

სოფელი უშგული შველას ითხოვს!.

სურათზე: უშგული, სოფელი ჩაჟაში.

წერილი რედაქციას

ორიოდე სიტყვა „მარებელის“ შესახებ

ორი აზრი არ არსებობს, რომ გაცნობის კლუბი „მარებელი“ ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში მარტოხელა ქალბატონებისა და ბატონების მოწვევით, კეთილ საქმეს ემსახურება. ასეთ შეხვედრა-დაახლოებებს ოჯახების ხშირი შექმნაც რომ არ მოჰყვეს, მათი ურთიერთგაცნობა, შემდგომ სამუდამო ნაცნობობა, მიწერ-მოწერა, საქმიანი და შემოქმედებითი კონტაქტები მაინც მნიშვნელობას იძენს. და მაინც, დასამალი არაა, რომ ოჯახების შექმნის შედეგიანობა მოსალოდნელზე ერთობ მცირეა.

მიმაჩნია, რომ ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში საქმის წარმართვა უფრო მეტის ეფექტურობით შეიძლება. როგორც ყოველთვის, ოთხშაბათობით და ხუთშაბათობით სამიდან ექვს საათამდე, ჩვეულებისამებრ თავს იყრიან გაცნობის მსურველები. სხედან წყნარად, მორიდებით (მაპატიონ, მუმიასავით), როგორც არაფრისათვის დასჯილნი და ელიან, ელიან... (თუმცა კი ემსახურება მათ ბარი ბუფეტი). ეს მიაგავს ისეთ უხეიროდ წარმართულ სუფრას, სადაც ვერც თამადა თამადობდა და ვერც ოჯახის თავკაცი, ხოლო მოწვეულნი ისე დაიშალნენ, ერთმანეთის ვინაობაც ვერ შეიტყვეს. ამიტომ, სასურველია დარბაზში მორიგეობდნენ ასე ვთქვათ ე. წ. „კულტმასაჩუქები“ (ახლებური, კარგი გაგებით), რომლებიც მომსვლელთ კიდევაც გააცნობენ ერთმანეთს, კიდევაც გააცინებენ, აალაპარაკებენ და დააჩქარებენ ე. წ. „შერჩევას“.

მახსენდება ერთი ეპიზოდი გენიალური კინოთეორეტიკოსის, სერგეი ეიზენშტეინის წიგნიდან. შესულა იგი აუდიტორიაში, სადაც ახალ სასწავლო წელს პირველი მეცადინეობა უნდა ჩაეტარებინა და უთქვამს „თქვენ მალე პროფესორები გახდებით, რადგან ერთდროულად რამდენიმე ლექტორი გიკითხავთ“... თურმე დარბაზი სარკეებით ყოფილა მორთული და ლექტორის ერთდროულად რამდენიმე ანარეკლი მოძრაობდა. აუდიტორიამ უცებ ამოისუნთქა და გადაეყარათ ზედმეტი გაუბედაობა.

დიახ, სამუდამოდ უნდა ჩამოვწეროთ ძველი სტერეოტიპები, როცა ადამიანი ჰანჭიკად იყო მიჩნეული. თვითეული ინდივიდის ბედს ფაქიზი გაფრთხილება და ყურადღება სჭირდება.

პატივისცემით
ანზორ ნათლიაშვილი,
ინჟინერი.

ბავშვები, ბუნება, მშვიდობა

ფოტოკონკურსი



„მონადირეთა“ ტყუილ-მართალი

ა. ბუდნიკოვი (რიგა)

ჟამი თიბათვისა

ი. მოლოჟნიკოვი (მეურნ[illegible]“. ხიმხინ[illegible]ოლქი)



საზაფხულო ბაღში

ნ. სკრიპნიკი (პეტროკრეპოსტი)

⊙ გაგრძელება; დასაწყისი იხ. № 63, 66, 68, 69, 73, 74, 76, 79, 83, 85.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიცოდეთ ჩვენი ისტორია

1918-1921 წლების საქართველო

1918-1921 წლების საქართველოს სანართლიანად ადარებდნენ დემოკრატიისა და სამოქალაქო წესიერების ოაზისს ყოფილი იმპერიის ანარქიულ უდაბნოში. საქართველო წარმოადგენდა ყველა დევნილთა, ლტოლვილთა და დამარცხებულთა თავშესაფარს. თურქების მიერ აწიოკებული სომხები და ბერძნები, სომეხთა მიერ შევიწროებული მაჰმადიანები, რუსთა მიერ დევნილი მთიელები, სამოქალაქო ომში დამარცხებული რუსნი და მრავალი სხვანი, მიუხედავად მათი სარწმუნოებისა, საქართველოში პოულობდნენ შველასა და გადარჩენას. და ყოველივე ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც თვით საქართველო ერთობ წინააღმდეგობრივად ვითარდებოდა, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი შიმშილობდა. მეტიც, დიდი ანტანტა ფარულ ბოლშევიკობას გვწამებდა, თვითონ რუსეთი იმპერიის მთლიანობის დამრღვევად და კომუნიზმის აგენტად გვთვლიდა. წითელი რუსეთი კი კონტრევოლუციის ბუდესა და დენიკინის მოკავშირეს გვიწოდებდა.

თქმულიდან გამომდინარე, უაღრესად მაღალი იყო მოსახლეობის რიცხობრივი ზრდის ტემპი. თუ 1917 წლის შუა ხანებში საქართველოს მოსახლეობა ორი მილიონ 426 ათას 280-ით განისაზღვრებოდა, 1921 წლის დასაწყისისათვის ორი მილიონ 603 ათასს გადაჰარბა, ე. ი. სამი-სამნახევარი წლის მანძილზე თითქმის 8 პროცენტით გაიზარდა. იმ ხანად საქართველოს მოსახლეობის დიდი რაოდენობა — 80 პროცენტი — სოფლად ცხოვრობდა.

1920 წლისათვის საქართველოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობა 50,7 ათასს აღწევდა, მათგან 33 ათას 358 ქართველი იყო, [illegible] ათას 686 რუსი, 5 ათას 837 სომეხი, ოთხი ათასამდე მშრომელი კი სხვა ეროვნების წარმომადგენელი. ყველაზე მეტი მუშა-მოსამსახურე, სახალხო მეურნეობის დარგებს შორის ტრანსპორტზე მუშაობდა. თუ მთლიანად მრეწველობაში შვიდი ათასამდე კაცი მუშაობდა, ტრანსპორტზე 2,5-ჯერ მეტი — 18 ათას 600 კაცი.

ქალაქებში ადგილი ჰქონდა უმუშევრობას. 1918 წელს თბილისში 8 ათას 952 უმუშევარი იყო, 1919 წელს კი მასზე ნაკლები — 5228. ამ უკანასკნელთა შორის 964 იყო ქართველი, 2236 რუსი, 1494 სომეხი, დანარჩენი კი სხვა ეროვნების წარმომადგენელი.

საქართველოს სოფლის მეურნეობა მაშინაც გამორჩეული იყო მრავალდარგიანობით. სოფლის მეურნეობაში შემოსავლის ძირითად წყაროდ მევენახეობა ითვლებოდა. 1917 წელს ვაზით დაკავებული სავარგულები 37 ათას 500 დესეტინას (ერთი დესეტინა 1,003 ჰა) უდრიდა, ყურძნის საერთო მოსავალი კი ხუთი მილიონ 844 ათას ფუთს (ერთი ფუთი — 16,36 კგ) აღწევდა. ღვინის დაყენება ოთხი მილიონ 735 ათასი ვედროთი (ვედრო — 12,3 ლიტრი) განისაზღვრებოდა.

ფეხს იდგამდა **მეჩაიეობა.** კერძოდ, აჭარისა და ოზურგეთის მაზრაში გაშენებული იყო 837 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. 1918-1921 წლებში მოწეული მოსავალი 3.740.258 გირვანქა (ერთი გირვანქა — 409,5 გრამი) ყოფილა.

ყურადღებას იპყრობს **მეთამბაქოეობის, მეაბრეშუმეობისა და მებამბეობის არსებობა-განვითარების ფაქტები.** 1920 წლისათვის თამბაქოს ეკავა 2257 დესეტინა, საერთო მოსავალი კი 131 ათას 634 ფუთით განისაზღვრებოდა. ბამბის პლანტაციები გაშენებული იყო ბორჩალოს, ქუთაისის, სოღნაღისა და შორაპნის მაზრებში. 1917 წელს 15 ათას 800 ფუთი ბამბის მოსავალი მოუწეიათ. მოჰყვდათ მარცვლეული, მაგრამ ქვეყნის მოთხოვნილებებს ის ვერც მაშინ აკმაყოფილებდა.

სამეურნეო განვითარების ასეთ დონეს ესაჭიროებოდა ტრანსპორტი და ინფრასტრუქტურის სხვა დარგები. ამიტომ რესპუბლიკის თავკაცები სათანადო საზუნავს არ აკლებდნენ მათ განვითარებას. 1918 წელს ერთ-ერთ ასეთ ამბავად ტკეცილი და საურმე გზების სიგრძე 3 ათას 500 ვერსს (ერთი ვერსი — 1.067 კმ) აღემატებოდა, რკინიგზის სიგრძე კი 745 ვერსი იყო. მოქმედებდა 176 საფოსტო-სატელეგრაფო დაწესებულება, 289 ტელეგრაფის აპარატი, 354 საფოსტო უთი...

ამავლობას განიცდიდა ვაჭრობა და საგარეო ურთიერთობა. პროდუქციის გატანა-შემოტანის მიზნით ჯეროვანი კავშირები იყო დამყარებული აშშ-სთან, ინგლისთან, იტალიასთან, საფრანგეთთან, გერმანიასთან, ოსმალეთთან, სპარსეთთან, რუსეთთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან, პოლონეთთან, ეგვიპტესთან, საბერძნეთთან, ესპანეთთან, ფინეთთან, შვეიცარიასთან, ჩინეთთან და სხვა ქვეყნებთან, ამას ხელს უწყობდა ის ფაქტიც, რომ დამოუკიდებელი არსებობის რაღაც ორი წლისა და 9 თვის განმავლობაში საქართველო ოფიციალურად აღიარა მსოფლიოს 25-ზე მეტმა ქვეყანამ.

ყურადღებას იპყრობს, აგრეთვე, საბაჟოების ფართო ქსელის არსებობა. წარმატებით ფუნქციონირებდა: ბათუმის, ბოგდანოვკის, გუდაუთის, ონის, ფოთის და სხვა, სულ 14 საბაჟო. ამჟამად სამწუხაროდ, ჩვენში მხოლოდ სამი საბაჟო (თბილისში, ფოთსა და ბათუმში) გვაქვს.

საგარეო ბაზარზე საქართველოდან გადატანილი სურსათ-სანოვაგის ნუსხა ძალზე მრავალფეროვანი იყო. სიმინდისა და ბოსტნეულის გარდა, მასში შედიოდა ნედლი და გამხმარი ხილი, კაკალი, თაფლი, თევზი, თამბაქო, ღვინო, ბორჯომის წყალი... აგრეთვე, სამრეწველო საქონელი და ნედლეული: ქვანახშირი, შავი . ქვა, მატყლი, თიხის ჭურჭელი, მინის ნაკეთობები, სადურგლო ნაწარმი, ქაღალდი, მუსიკალური ინსტრუმენტები, ხალიჩები და სხვა.

საზღვარგარეთიდან შემოდიოდა: ფქვილი, შაქარი, თევზი, კაკაო, ყავა, დამუშავებული ტყავი, ცემენტი, რკინა, ნავთობი, ფეხსაცმელი, ქსოვილები, ტანსაცმელი, საინჟინრო იარაღები, ელექტრომოწყობილობები.

მიმოქცევის სფეროში ფუნქციონირებდა ვალუტა, კერძოდ: ოქროს თუმნიანი, გირვანქა სტერლინგი. ოქროს ლირი, ოსმალუ-რი ქაღალდის ლირა, ფრანკი, დოლარი, მარკა, ძალზე დაბალ დონეზე იდგა 1919 წლიდან მიმოქცევაში შესული ქართული ფულის სყიდვითუნარიანობა. იზრდებოდა ოქროს მანეთის ღირებულება. თუ იგი 1919 წლის ივლისში 39,24 ქართული ბონის ტოლფასი იყო, მომდევნო წელიწადნახევარში 1300 ბონამდე გაიზარდა.

დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკა რუსეთის იმპერიული პოლიტიკით გამოწვეული სამეურნეო ჩამორჩენილობის და ფინანსური კრიზისის დაძლევას მოითხოვდა. ამის გარანტიას ქმნიდა საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის სისტემა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება ევროპული ტიპის საბელმწიფოებრივი ორგანიზაცია იყო. რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოებში — ეროვნულ საბჭოში, შემდეგ კი დამფუძნებელ კრებაში, არჩეული იყვნენ საქართველოში მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენლები. აღსანიშნავია 1919 წლის 27 მაისს მიღებული კანონი მოქალაქეობის შესახებ. ამ კანონით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქედ ითვლებოდა ყოველი მკვიდრი, რომელიც მიწერილი იყო რესპუბლიკის ტერიტორიის რომელსამე ადმინისტრაციულ ერთეულზე 1914 წლის 19 ივლისამდე. ამასთან საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლებოდა ყოფილი რუსეთის იმპერიის ყოველი ქვეშევრდომი, რომელიც დაკმაყოფილებდა სამ პირობას: 1. თუ ჰქონდა უძრავი ქონება საქართველოში ან თავის საჭირაო შრომით ირჩენდა თავს; 2. თუ სამი წლის მანძილზე განუწყვეტლივ ცხოვრობდა საქართველოში; 3. თუ კანონის მიღებიდან სამი თვის მანძილზე წარადგენდა განცხადებას საქართველოს მოქალაქეობის სურვილთან დაკავშირებით.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ პირობებს ჯეროვანი ყურადღება მიექცევა თანამედროვე, დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქეთა სტატუსის შემუშავებისას.

დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო განახლებული საქართველოს კონსტიტუცია. მას უნდა გაეფანგლებინა საქართველოს ინტეგრაცია საზღვარგარეთის ქვეყნებში, უპირველეს ყოვლისა, მეზობელ ევროპაში. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. რუსეთი მის მიერ იურიდიულად აღიარებული დამოუკიდებელი საქართველოს მიმართ ძალისმიერი აქციის განხორციელებას შეუდგა. დაიწყო ინტერვენცია და ოკუპაცია, რასაც ფაქტობრივი ანექსია მოჰყვა.

ასეთია მოკლედ ჩვენი წინაალმდეგობრივი წარსულის ზოგადი იერ-სახე. ყოველივე თქმული ნათელი დასტურია იმისა, რომ ჩვენს დამოუკიდებელ რესპუბლიკას უყოყმანოდ შეუძლია დღევანდელი ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევა და მოწინავე ქვეყნების რიგებში ჩადგომა. ამის გარანტიაა არა მარტო კონსტიტუცია, არამედ ჩვენი ხალხის ინტელექტი, მისი ისტორიული წარსული, ჩვენი მიწა და წყალი... ჩვენი ძალისხმევა..

კლიმენტი ელიზბარაშვილი,

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი.

გთხოვთ, პონორარი გადარიცხოთ მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების ფონდში.

პროქროსკოპია საქართველოში

...ოპერაციამ მუხლის სახსრის აღდგენისათვის სულ რაღაც ნახევარ საათს გასტანა, ორ ნახევარ სანტიმეტრიან განიკვეთში ართროსკოპის აპარატის შეყვანით, ეკრანზე სიზუსტით დაფიქსირდა სახსრის სრული სურათი. ერთი კვირის მანძილზე (1991 წლის 18-23 ივლისს) მსგავსი 9 ოპერაცია ჩატარდა. ცხრამეე წარმატებით ჩაიარა. — პაციენტებია მეორე დღესვე გაიარეს. **ეს იყო პირველი ართროსკოპიული ოპერაციები საქართველოში** — ჩვენთან დავიზღვიეთ და მხოლოდ მესამე დღეს გავწერეთ ისინი სტაციონარიდან — გვითხრეს ექიმებმა. მსგავსი ოპერაციები რამდენიმე წელია მხოლოდ რიგში კეთდება. მალე ალბათ საქართველოშიაც დაინერგება, მით უფრო, რომ უკვე, ართროსკოპიის აპარატი საქართველოს რესპუბლიკის ორთოპედ-ტრავმატოლოგთა ასოციაციას საჩუქრად გადასცა ამერიკელმა ართროსკოპისტმა **ბერტრამ ზარინჩმა** და ლიტვის ართროსკოპისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა **ვალდის ბატლუხმა.**

●

ამ რამდენიმე ხნის წინ, საქართველოს ტრამვატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი ოთარ ღუდუშაური რიგაში, კეგის დღეებზე მიიწვიეს. **კრისტეფს კეგმა,** იელის უნივერსიტეტის პროფესორმა, ცნობილმა ენდოპროტეზისტმა, წარმოშობით ლატვიელმა, სამშობლოში ტრავმატოლოგ-ორთოპედთა მადალკვალიფიციური კადრების მოსამზადებლად, საკუთარი სკოლის დასანერგად და გამოცდილების გასაზიარებლად კარგა ხანია დაამყარა ურთიერთკავშირი. ყოველ გაზაფხულზე, როცა კეგის დღეები ეწყობა, გამოცდილი სპეციალისტები ატარებდნენ ერთგვარ ლექცია-საუბრებს და პარალელურად უსასყიდლოდ აკეთებენ ოპერაციებს. სწორედ ამ შეხვედრაზე, ბატონ ოთარ ღუდუშაურს, როგორც საქართველოს ძლიერ ტრავმატოლოგთა სკოლის წარმომადგენელს, შესთავაზეს საქართველოდან ამერიკის შეერთებულ შტატებში იელის უნივერსიტეტში გამოცდილების მისაღებად, ერთი წარმომადგენელი შეერჩია.

გადაწყდა, ახალგაზრდა თბილისელი ექიმი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი მიხეილ ზიმლიკა კეგის შეგირდი გამხდარიყო.

●

მიხეილ ზიმლიკა: — გასულ სექტემბერს გავემგზავრე ამერიკაში, კონექტიკუტის შტატის ქალაქ ნიუ-ჰეივენში, სადაც იელის უნივერსიტეტია. სწორედ აქაა პროფესორ კრისტეფს კეგის ჰოსპიტალი, აქ მიმდინარეობს პრეზიდენტების პრაქტიკული და თეორიული მეცადინეობები. ალბათ, ზედმეტია იქაურ იდეალურ პირობებზე, ტექნიკურ, თანამედროვე აპარატურით აღჭურვილობაზე საუბარი. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ მთელი ყურადღება გადატანილია პრაქტიკულ მეცადინეობაზე. კვირაში ერთხელ გვიკითხავდნენ ლექციებს ორთოპედიაში, გვქონდა კონსულტაციები რენდგენოლოგიაში.

ექიმის სამუშაო დღე დილის 7 საათზე იწყება და საღამოს 5 საათამდე გრძელდება. მე მუხლის სახსრისა და მენჯ-ბარძაყის ენდოპროტეზირების 40 ოპერაციაზე მომიწია ასისტენტად ყოფნა. თვენახევრის შემდეგ კეგის ფონდის წევრად მიმიღეს. მომცეს სპეციალური სერთიფიკატი (დიპლომი) რომ გავიარე თეორიული, პრაქტიკული კურსი და გავხდი კეგის სკოლის წარმომადგენელი საქართველოში.

ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ კონტაქტები იელის უნივერსიტეტში გაცნობილ ლატვიელ სპეციალისტებთან არ გამიწყვეტია. რამდენიმეჯერ გახლდით რიგაში, სპასუხოდ რიგელებიც გვეწვივნენ. ისინი ძირითადად ართროსკოპიით იყვნენ დაინტერესებული. მალე გადაწყდა, საქართველოს ტრავმატოლოგთა და ორთოპედიის ასოციაციას ეგიდით (პრეზიდენტი მერაბ საყვარელიძე) რიგაში მიგვეწვინებინა ახალგაზრდა ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილი.

ვაჟა გაფრინდაშვილი: — 8 წელია მუხლის სახსრის ოპერაციებს ვაკეთებ, დამეთანხმებით, ეს არც ისე დიდი დროა, მაგრამ რიგაში სტაჟირებისას, 1 თვის მანძილზე ართროსკოპიის მეთოდით 50 ოპერაციას დავესწარი, ორი დამოუკიდებლად გავაკეთე. ამ მეთოდმა მთლიანად შეცვალა დამოკიდებულება მუხლის სახსრისადმი. რიგელებს კარგა ხანია ლატვიელ ემიგრანტებთან მჭიდრო კავშირი აქვთ. ერთ-ერთი მათგანი მსოფლიოში ძლიერი ართროსკოპისტი **ბერტრამ ზარინჩია.** ამ ურთიერთობების წყალობით, ასე თუ ისე, საშედეგინო აპარატურითაც უზრუნველყოფილნი არიან. წარმოიდგინეთ ჩემი სიხარული, როცა სტაჟირების გავლის შემდეგ ბერტრამ ზარინჩმა საჩუქრად დაინეჭესის ფირმის ართროსკოპის აპარატი გადმომცა თავისი ოპტიკით. ვიდეოკამერით, გამაძლიერებლითა და საოპერაციო ხელსაწყოებით, რომლის საერთო ღირებულება 15000 დოლარია. მართალია, ესაა განახლებული აპარატურა, თორემ მოგეხსენებათ ახალი — 50-70 ათასი ამერიკული დოლარი ღირს. რომ იტყვიან, ხელფეხი გაგვეხსნა, ამ აპარატის წყალობით შეიძლება მუხლის სახსარზე ნებისმიერი ოპერაციის ჩატარება. პირველი ოპერაციებისათვის ცხრა პაციენტი შევარჩიეთ. ოპერაციების ჩასატარებლად ჩამოვიდა ლატვიის ართროსკოპისტთა ასოციაციის პრეზიდენტი **ვალდის ზატლერსი.** უკვე მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში მუხლის და მხრის სახსარზე ართროსკოპიის გარეშე ყოველგვარი ჩარევა დაუშვებელია. ჩვენთან ჩატარებულმა ყველა ოპერაციამ კარგი შედეგი გამოიღო. ამაში წვლილი ბევრ ადამიანს მიუძღვის, ეფიქრობ ჩამოვთვალო ისინი, განყოფილების გამგე ნუგზარ კობახიძე, ანესთეზიოლოგი არჩილ აბესაძე, საოპერაციო და ოლიკო მდინარაძე, ლატვიელები ვალდის ზატლერსი, ანნა კიპლუკა, და ყველა, მთელი ჩვენი მედპერსონალი, ვინც თვალს ადევნებდა ოპერაციის მსვლელობას, შედეგებს, ვინც დაინტერესებული იყო ჩვენი წარმატებით. აქვე მინდა მადლობა ვუთხრა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორს გურამ ქაშაკაშვილს, რომელიც გარკვეულწილად დაგვეხმარა ოპერაციისათვის აუცილებელი უცხოური სისტემის ვიდეო აპარატურის შოვნაში.

კონტაქტები გრძელდება. სექტემბერში კრისტეფს კეგი თავად გვეწვევა თბილისში, ჩვენ შეიძლება თეორიულად ითობით სპეციალისტი მივავლინოთ, მოვამზადოთ, მაგრამ თუ საქმეს პრაქტიკული გაგრძელება არ ექნება, თუ არ გვექნება აპარატურა, მოგეხსენებათ, ფაქტიურად ყველა ცდა უშედეგო იქნება. კრისტეფს კეგი გვპირდება, რომ ნაწილობრივ ამ პრობლემასაც გადაწყვეტს და მომავალში სხვა აპარატურასაც ჩამოვიტანთ. მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ ესაა მოწყალება, ან მხოლოდ ქველმოქმედება. აქ საუბარია პროფესიონალური ინტერესების სიძლიერეზე. მე მაგალითად, პროფესორ ზარინჩისგან დავალებული მაქვს, რომ მომავალ შეხვედრაზე გავაკეთო ერთფენარი ანგარიში ოპერაციების მსვლელობასა და შედეგების თაობაზე. ესაა გარკვეული სკოლის გაგრძელება, დანერგვა.

ართროსკოპიის საშუალებით არა მარტო მენისკების, არამედ შეიძლება ოიგების პლასტიკა, ამისთვისაც ძვირადღირებული სამედიცინო იარაღებია საჭირო. მაგრამ: თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენად გაიოლებულია ავადმყოფის მდგომარეობა ამ ოპერაციების დროს, ავადმყოფი ორ სამ დღეში გაივლის, თუ ადრე თვეობით გრძელდებოდა გამოჯანმრთელების პროცესი, ახლა დავუშვათ, სპორტსმენს, მეხუთე-მეექვსე კვირას შეუძლია საწვრთნელ ვარჯიშებს შეუდგეს. ჩვენთვის ძვირფასია თითოეული ადამიანის ჯანმრთელობა, ამიტომ, ვფიქრობ ამისთვის ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, ყველა კომპრომისზე უნდა წავიდეთ.

●

საქართველოში პირველი ნაბიჯები გადაიდგა ართროსკოპიაში. ვულოცავთ ყველას, ვინც წვლილი ჩადო ამ წარმატებაში. ვიმედოვნებთ, მალე ლატვიელ სპეციალისტთა გვერდით ქართველი ართროსკოპისტებიც ღირსეულ ადგილს დაიკავებენ და აღიარებას მოიპოვებენ.

ნინო კვაჭანტირაძე

სურათზე: ვალდის ზატლერსი და ბერტრამ ზარინჩი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ანშლაგი“ სცენას გვპირდება



ბოლო ხანებში სიცილით, იუმორით აღარ გვანებივრებს ცხოვრება. თუმცა, სასაცილოც ბევრია მასში. რამდენი რამ, ჯერ კიდევ გუშინ რომ გვჯეროდა, დღეს ირონიულ ღიმილს იწვევს ჩვენში. მინი-თეატრ „ანშლაგის“ (საშხატვრო ხელმძღვანელი ვლადიმერ ხელაშვილი, დრამატურგი დავით სონღულაშვილი) სპექტაკლებიც სწორედ იუმორისტისა და სატირიკოსის თვალით დანახული ჩვენი ცხოვრებაა — ერთი შეხედვით, პარადოქსული, დაუჯერებელი, მაგრამ ნამდვილი, მართალი... ამდენად, სასაცილოც. სიცილი კი ჯანმრთელობაა, — ამტკიცებენ მედიკოსები. მეტისმეტი მხიარულებისაგან „ანშლაგის“ მაყურებლებს ხშირად „ნიანგის ცრემლები“ ცვივათ თვალთაგან. მსახიობთა მიზანიც ხომ ესაა — გამაჯანსაღებელი სიცილი.

თეატრს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საქველმოქმედო ფირმა „გენეზისი“ (გენერალური დირექტორი გია დუმბაძე) უწევს შეფობას. „გენეზისელთა“ აზრით, თეატრი მასიურ ფსიქოთერაპიულ ზეგავლენას ახდენს მაყურებელზე, ოღონდ 100-პროცენტიანი დადებითი შედეგით. ამაზე სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მაყურებელთა სახეებიც მეტყველებენ. ეს თითქოს სუბიექტური შეფასებაა, მაგრამ ფირმა „გენეზისის“ მიზანია მეცნიერულ დონეზე, აპარატული აღჭურვილობით გამოიკვლიოს მაყურებლებში დადებითი ემოციებით გამოწვეული ბიოენერგეტიკული ძვრები. სულ მალე თეატრი ისრაელში გაეგზავრება. სიცილმა ხომ საზღვრები არ იცის.

„ანშლაგი“ სპექტაკლებს ძირითადად სამედიცინო დაწესებულებებში, აგრეთვე შემკვიდრული დაავადებების მქონე ბავშვთა სპეციალურ ინტერნატებში მართავს. ამ უკანასკნელთ შეფობას „გენეზისი“ უწევს. ფირმა ატარებს შემკვიდრული დაავადებების მქონე ბავშვების ციტოგენეტიკურ, პროფილაქტიკურ (დაავადებამ წყვილებში რომ არ იჩინოს თავი) გამოკვლევებს. გენეტიკურ კვლევებს ორი მიზანი აქვთ: ხშირად სპეციალურ ინტერნატში არაკვალიფიციურ გამოკვლევათა წყალობით ჯანმრთელი ბავშვები ხვდებიან. ამასთან ეკოლოგიურ ფაქტორთა გავლენით შემკვიდრულ დაავადებათა დონემ მკვეთრად იმატა. ციტოგენეტიკური გამოკვლევებით მისი ბუნებრივ დონემდე დაქვეითება უნდა მოხდეს.

პირველად საქართველოში ფირმა „გენეზისში“ დაიწყო რესპუბლიკაში არსებული ბიოენერგოფენომენების გამოვლენა, შესწავლა და მისი სამედიცინო გამოყენება. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ ბიოენერგოთერაპევტების — გია სულაქველიძისა და ზაურ ჭიკაძის მიერ დაწყებული „ინ ვიტრო“ (სინჯარული ცდები) საერთაშორისო მნიშვნელობისაა „გენეზისთან“ შექმნილი ბიოენერგოფენომენების ასოციაციის (პრეზიდენტი თამაზ ჭეიშვილი) წევრები სამეცნიერო წრეებთან კონტაქტების დასამყარებლად მიწვეულნი არიან აშშ-ში, საბერძნეთში, გერმანიაში, თურქეთსა და ისრაელში.

მაია თუნგია

თენგიზ მახარაშვილის გამოფენა მოსკოვში

ამ დღეებში მოსკოვში, საქართველოს კულტურის ცენტრ „მზიურში“ გაიხსნა თენგიზ მახარაშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა. ეს ავტორის მეშვიდე პერსონალური, და ამავე დროს ყველაზე დიდი გამოფენაა. აქ ექსპონირებულია 90-ზე მეტი ნამუშევარი.

გამოფენა მოაწყო საქართველოს მინისტრთა საბჭოს მუდმივმა წარმომადგენლობამ მოსკოვში და საქართველოს სამუზეუმო-საგამოფენო გაერთიანებამ — სურათების ეროვნულმა გალერეამ.

ეს ერთგვარი შემაჯამებელი ვერნისაჟია, რადგან თენგიზ მახარაშვილი თითქმის ათი წელია მინიატურაში მუშაობს. იგი თვლის, რომ დიდებული ტრადიციების მქონე და სადღისოდ თითქმის მივიწყებული ეს ჟანრი თავისი ფორმითა და შესრულების პრინციპებით, ისტორიული თემების, ლეგენდების, ხალხური თქმულებების, ლიტერატურული სახეების, თანამედროვე ცხოვრების წარმოსახვისა და შემოქმედებითი ინტერპრეტაციის ფართო შესაძლებლობებს იძლევა....

თენგიზ მახარაშვილის ნამუშევრები მოწმობს, თუ როგორი მხატვრული სრულყოფილების მიღწევა შეიძლება მინიატურაში, თუკი გყოფნის ოსტატობა, ფანტაზია და გემოვნება, თუკი გაქვს სათქმელი, თვითგამოხატვის უნარი.

თენგიზ მახარაშვილის მინიატურები, მიუხედავად მათი მცირე ზომისა და მრავალფიგურიანობისა, ხასიათდება შეკრული, გაწონასწორებული კომპოზიციებით, მყარი, მკაფიო ნახატით. ხაზობრივი და ფერადოვანი რიტმის ფაქიზი შეგრძნებით. სახვითი გადაწყვეტის მხრივ მრავალფეროვანი ნამუშევრები მოიცავს ისტორიულ თემატიკას („მეფე ვახტანგი და სულხან საბა ორბელიანი“, „დავით აღმაშენებელი“, „თამარ მეფის დარბაზობა“, „ვარძია“ და ა.შ.), ქართული ხალხური პოეზიისა და ლეგენდების მოტივებს („მუმლი მუხასა“, „შენ ხარ ვენახი“, „შვიდნი გურჯანელნი“, „ვეფხვი და მოყმე“, „მოიტაცეს თამარ ქალი“, „მედეა“, „არგონავტები ყოლხეთში“ და ა. შ.), გამოჩენილ მოღვაწეთა ცხოვრების ეპიზოდებს („თამარი და შოთა“, „პოეზია უპირველეს ყოვლისა — გალაკტიონი“, „ქეთევან დედოფლის წამება“...), თბილისური ყოფის სიუჟეტებს („მეარღნე და კინტო“, „თბილისის ჭრელ აბანოებში“, „თბილისელი ამქრები“, „ძველი თბილისი“, „ქართული ჭიდაობა“), რელიგიურ თემებს („ტრიბტიხი „ქრისტეს ცხოვრება“, „ქრისტე და ბავშვები“, „წმინდა მარიამი ყრმით“, „წმინდა ნინო საქართველოში“), აგრეთვე საქართველოს დღევანდელი ცხოვრების ეპიზოდებს („საქართველოს „კიდეთ კიდემდე“, „9 აპრილის ტრაგედია“, „სტუდენტები უნივერსიტეტის ბაღში“, „შემოდგომა კახეთში“ და ა. შ.).

თენგიზ მახარაშვილის მთელი შემოქმედება საქართველოს აწმყოსა და წარსულს ეძღვნება, მშობლიური ცისა და მიწის სიყვარული, წინაპართა მემკვიდრეობის პატივისცემა მკაფიოდაა გამოხატული მის ყოველ სურათზე.

ირმა ხუხუნაშვილი

სურათებზე: თენგიზ მახარაშვილის ნამუშევრები: „მეკოთნეები“, „ოჯახი ქალაქს მიეშგზავრება“, „ფარშევანგები“, „ქართული ქორწილი“.

საქართველოს მშრომელთა თავისუფალი კავშირის საინიციატივო ჯგუფის

გაანცხადება

1991 წლის 25 ივლისს გაზეთ „ქომაგში“ გამოქვეყნდა რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსა და რესპუბლიკის მშრომელებისადმი ჩვენი მიმართვა, რომელმაც დიდი გამოხმაურება გამოიწვია. პროფკავშირების კონფედერაციის გადაწყვეტილებით პროფკავშირული სტრუქტურების რეორგანიზაციის მიზნით მოწვეულ იქნება რიგგარეშე ყრილობა.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებმა თავიანთ დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე, ყოველგვარი სამართლებრივი და პროცესუალური ნორმების უხეში დარღვევით ჩაატარეს რაიონული და საქალაქო პროფკავშირული კონფერენციები, აირჩიეს რაიონული პროფცენტრების თავმჯდომარეები და ყრილობის დელეგატები, რამაც მშრომელთა სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია.

ამისათვის კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ საქართველოს მშრომელების თავისუფალი კავშირი იქმნება მშრომელთა ინიციატივით, ნებაყოფლობით საფუძველზე.

შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით, საქართველოს მშრომელების თავისუფალი კავშირის საინიციატივო ჯგუფი მომდინარე წლის 8 აგვისტოს გამართავს საგანგებო სხდომას, რომელზეც ნაწილობის მისაღებად იწვევს 12 საათზე პროფკავშირულ მუშაკებს და ყველა დაინტერესებულ პიროვნებას.

მისამართი: თბილისი, ნაძალადევის (ყოფილი ლენინის) რაიონი, მექანიზაციის ქ. № 1, თბილისის № 1 ავტოშემკეთებელი ქარხნის კლუბი. ტელეფონი: 66-33-18.

საქართველოს მშრომელთა თავისუფალი კავშირის საინიციატივო ჯგუფის სახელით

გიგა ფრიდონაშვილი

უურადღება! უურადღება!

განსაზღვრული პასუხისმგებლობის კორპორაციაში „ფანასკერტელი“ გაიხსნა ტკივილგამაყუჩებელი კაბინეტი ბლოკადოთერაპიის გამოყენებით, სადაც ტარდება მკურნალობა შემდეგი დაავადებების: მწვავე რადიკულიტი, მწვავე პლექსიტი, იშიალგია, მენჯ-ბარძაყის სახსრის ანთება, ჰერპესი და სხვა დაავადებები, რომელიც დაკავშირებული არიან მწვავე ნევრალგიებთან.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ბლოკადოთერაპია წარმოადგენს არა მარტო ნოვოკაინის შეყვანას, არამედ ახალი სამკურნალო ხსნარების შენარევებით მკურნალობას, რომლებიც სრულიად უვნებელია ადამიანის ორგანიზმისათვის, ამავე დროს ძალიან ეფექტურია ზემოაღნიშნულ დაავადებების მკურნალობისას.

ბლოკადოთერაპიის პროცედურას ატარებს მაღალკვალიფიციური ქირურგი ალექსანდრე აგაიანი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა მეოთხე მთავარ სამმართველოს საავადმყოფოში.

ა. წ. 2 აგვისტოს მწერალთა კავშირის სასახლეში გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის ასოციაციის დამფუძნებელი კონფერენცია.

კონფერენცია სიტყვით გახსნა სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საქველმოქმედო საზოგადოების პრეზიდენტმა, მწერალმა **გურამ ფანჯიკიძემ.**

განიხილეს კავშირგაბმულობის ასოციაციის წესდება და გარკვეული შენიშვნების გათვალისწინებით იგი მიღებული იქნა.

კონფერენციამ ასოციაციის პრეზიდენტად აირჩია ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელი ანზორ შარაშენიძე. ხოლო ვიცეპრეზიდენტად თამაზ ჩიტიშვილი.

28 დღე ევროპის გარშემო

2 ოქტომბრიდან 30 ოქტომბრამდე კომფორტაბელური საზღვაო ლაინერით თქვენ შეგიძლიათ დაისვენოთ და ნახოთ სტამბოლი (თურქეთი), პირეი, ათენი (საბერძნეთი), ჩივიტავეკია, რომი (იტალია), ბარსელონა (ესპანეთი), ლისაბონი (პორტუგალია), ჰავრი, პარიზი (საფრანგეთი), ამსტერდამი (ჰოლანდია), კოპენჰაგენი (დანია), ჰამბურგი (გერმანია).

ცნობებისათვის მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი, 136. საქ. სახ. ფილარმონიასთან არსებული ტურისტული ცენტრი. ტელ. 95-85-40.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტი



პრინცესა „ოქროს ტბიდან“

— ჯერჯერობით 40 მეტრზე, მსოფლიო რეკორდი კი 46 მეტრია... რაც შეეხება რეაქციას, ყველაზე მეტად მაყურებელთა აღფრთოვანება მმატებს ძალებს. ორი წლის წინათ საერთაშორისო შეჯიბრებაზე გახლდით გერმანიაში. 37,2-37,3 მეტრს ვერავინ გაცდა. მე რომ 37,9 მეტრზე გადავხტი, ტრიბუნები ტაშისაგან შეზანზარდა. იქაური მაყურებლების მხარდაჭერამ ერთი-ორად გამახარა.

— მაყურებელთა და გულშემატკივართა მხარდაჭერა და ხიყვარული არც აქ გაკლია. მაგალითისათვის იხიც კმარა, რომ შარშან საქართველოს ათ ხაუკეთესო სპორტსმენთა რიცხვში დაგახახელეს. როგორ - უყურებ საკუთარ პოპულარობას?

— შრომისმოყვარეობა... მეც, შინაგანად, ყოველთვის ვცდილობდი მისთვის მიმეგაძა, მასავით პროფესიონალი გავმხდარიყავი...

— თუ გქონია შემთხვევა, როდესაც სპორტიდან წასვლაზე გიფიქრია?

— არასოდეს. ყოველთვის ოპტიმისტურად ვუდგებოდი ძნელადგადასაჭრელ პრობლემებს და ამაში ჩემს გარშემო მყოფი კეთილგანწყობილი ადამიანები მეხმარებოდნენ.

— კურიოზები თუ გქონია შენს სპორტულ ცხოვრებაში?

— ერთხელ, მაშინ ახლადდაწყებული მქონდა ვარჯიში, საცურაო კოსტიუმის საგულდაგულოდ განასკული თასმა გამიწყდა და... კიდევ კარგი, წყალში ვიყავი...

— შენი ყველაზე დიდი გამარჯვება ხომ არ გიტაცებს?

— 1988 წელს საბერძნეთში ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებული I ადგილი.

— სპორტის სხვა რომელიმე სახეობაც ხომ არ გიტაცებს?

— ძალიან მომწონს სინქრონული ცურვა.

— თავისუფალ დროს, თუ საერთოდ გაქვს იგი, როგორ ატარებ?

— თავისუფალი დრო მაქვს და ძირითადად მაშინაც ბავშვობისდროინდელ ოცნებებს ვუბრუნდები. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად თავად ვუსმენ სიმღერებს, მიყვარს ყველანაირი ჟანრის კარგი მუსიკა, ცალკეული შემსრულებლებიდან კი უპირატესობას კიმ უაილდს ვანიჭებ.

— ჩემპიონატის შემდგომ გეგმებზე რას გეტყოდი?

— თუ ფოთში გავიმარჯვებ, 8 სექტემბრისათვის გავემგზავრები ავსტრიაში მსოფლიო პირველობაზე. შემდეგ კი თბილისის უნივერსიტეტში იმდენი გამოცდა მელოდება, მათ გახსენებაზეც კი ჟრუანტელი მივლის...

●

...ვიმედოვნებ, ხათუნა წარმატებით ჩააბარებს ურთულეს გამოცდებს, სპორტულსაც და სასწავლოსაც. რაც შეეხება ზღაპარს მშვენიერ პრინცესაზე, მას ჩემპიონატის შემდეგ გავაგრძელებთ...

გინდ გაიმარჯვოს, გინდ ხელი მოეცაროს (ღმერთმა დაიფაროს), პრინცესა ჩემპიონატის შემდგომ ინტერვიუზე უკვე შევიპირე... თუმცა, თუ საჭიროა, შემიძლია ხმამაღლა განვაცხადო — ხათუნამ უნდა გაიმარჯვოს!!!

აბა, ცუდად დამთავრებული ზღაპარი ვის გაუგონია?..

ირმა ბუგუშვილი,
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.

— ხათუნა, თუ შეგიძლია წარმოგვიდგინე შენი პროგრამა — მინიმუმი და პროგრამა — მაქსიმუმი ევროპის ჩემპიონატზე.

— წყალსათხილამურო სპორტის სამივე სახეობაში ვიასპარეზებ: ტრამპლინიდან ხტომაში, ფიგურულ სრიალსა და სლალომში. ბოლო ორ სახეობაში შედარებით ნაკლები პრეტენზიები გამაჩნია საპრიზო ადგილებზე, რადგან ვფიქრობ, სხვადასხვა მიზეზის გამო სათანადოდ ვერ მოვემზადე. ტრამპლინიდან ხტომაში პროგრამა მინიმუმი — პირველ სამეულში მოხვედრაა, პროგრამა მაქსიმუმი — აუცილებლად I ადგილი!..

— ძალიან მაინტერესებს, რა გრძნობა გეუფლება, როდესაც ტრამპლინიდან ხტები?

— განსაკუთრებული არაფერი: მიხარია, როდესაც კარგი ნახტომი გამოდის და ვცდილობ, რაც შემიძლია შედეგი გავაუმჯობესო.

— რამდენ მეტრზე ხტები და როგორია რეაქცია?

— ძალიან მსიამოვნებს და, ვფიქრობ, ეს სავსებით ბუნებრივი გრძნობაა.

— წყლის თხილამურებზე როგორ „მოხვდი“?

— მე-6 კლასში, ფიზკულტურის გაკვეთილზე მასწავლებელმა, ბატონმა ანზორ მიქელაძემ შემამჩნია და „გამომარჩია“. ბატონ ანზორს მე ყოველთვის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვიხსენებ. ჯერ ვიაჩესლავ კობიალკოს მითითებებით ვვარჯიშობდი, შემდეგ კი მწვრთნელად მინსკიდან ვიქტორ მელნიკი მოიწვიეს. ვარჯიშმა შედეგი გამოიღო, 1985 წელს პირველ სერიოზულ წარმატებას მივაღწიე: I ადგილი დავიკავე მინსკში გოგონათა შორის ტრამპლინიდან ხტომაში.

— შენი იდეალი სპორტში?

— გერმანელი მოცეგურავე კატარინა ვიტი. ყოველთვის ძალიან მომწონდა მისი მიზანდასახულობა, უანგარო სიყვარული არჩეული სპორტის სახეობისადმი,

⌨ სხვა გაზეთებიდან

„ბემუდარეგით, შემიშვით ციხეში“

სწორედ ასე მიმართა ოცდაათი წლის მამაკაცმა ზლატოუსტის ციხის მცველებს — ჯიბეში სულ მანეთიღა მაქვს, შიმშილით კკვდები და ვერაფერი მიშოვნაო. მას შემდეგ, რაც ციხის დაცვამ გზას ბარაქა დააყარეო, ურჩია, კაცმა არც ა�ia, არც აცხელა და კარგა გემრიელი მუშტი უთავაზა მორიგე ოფიცერს.

ციხის საზღვრის დამრღვევი ქალაქის პროკურატურაში მიიყვანეს, სადაც გადაწყვიტეს მისთვის ბოროტი ხულიგნობისათვის 206-ე მუხლი წაეყენებინათ და უკვე „კანონიერად“ გაემწესებინათ ქალაქის ციხეში.

უნდა ითქვას, რომ ციხის დაცვა ნამდვილად გულმოწყალე აღმოჩნდა, დაკავებული კარგად დააპურეს და ცოტა მეტხანს რომ დარჩენილიყო მათთან, ალბათ სხვა მომსახურებაზეც — კინო, აბანო (ბევრი ზლატოუსტელის ბინაში, თურმე, თვეობით არ მოდის ცხელი წყალი) — არ ეტყოდნენ უარს.

მოკლედ, ქალაქში დადის ხმები, რომ ზლატოუსტის ციხეში ბევრად უკეთესია ყოფნა, ვინემ... სამშვიდობოზე, ყოველი შემთხვევისათვის შიშშილით მაინც არავინ კვდება. ციხის უფროსმა ეს ხმები არ უარყო, მაგრამ სარეჟიმო რაციონის დასახელებაზე სასტიკი უარი განაცხადა — ეს რომ გავაკეთო, ერთი და ორი თავზეხელაღებული როდი ეცდება ჩვენთან შემოჭრასო.

როგორც ჩანს, — ამკვნის „ტრუდის“ (№ 170) ზლატოუსტელი კორესპონდენტი, — ჩვენმა „ციხის ამღებმა გმირმა“ უახლოესი რამდენიმე თვე არცთუ ურიგოდ მოიწყო, თუმცა მაინც არ გირჩევთ მის მიბაძვას — ზლატოუსტის ციხე უკვე საკმაოდ გადატვირთულიაო.

ფუტკრებიც კი განიხიბლენ

ახლახან, პერეს ქალაქში დამბაეკეს სტადიონზე გამართული მატჩის დროს, მოედანზე ფუტკრების მთელი გუნდი გამოჩნდა. ისინი იმდენად დაბლა დაეშვნენ, რომ ფეხბურთელებსა და მსაჯებს უმალ დააკიწყდათ მატჩი და მოედანზე ჩაცუცქდნენ, რასაც მაყურებელთა ხარხარი მოჰყვა. თუმცა ფუტკრებმა მალე დატოვეს მოედანი და მატჩიც განახლდა.

როგორც გაზეთი „კემერსიო“ წერს, ბევრი გულშემატკივარი ხმამაღლა წუხდა, რომ ფუტკრებმა მსაჯი არ დაკბინეს, იქნებ მაშინ მაინც ერბინა სწრაფად და ნაღდი პენალტები არ გამორჩენოდაო. ზოგიერთმა სიტყვამოსწრებულმა კი ეს იმითაც ახსნა, რომ უნიათო მატჩით ფუტკრებიც კი განიხიბლენო (საკდესი).

მწვადი... ურუგვაულად

ურუგვაელმა ისაბელ და ფრანსისკო კორტასებმა სამი კვირა იმოგზაურეს კავკასიაში და ძალზე მოიხიბლენ აქაური სამზარეულოთი. საშობლოში დაბრუნების შემდეგ მათ გადაწყვიტეს თანამემამულეებისათვისაც გაეცნოთ კავკასიური საჭმელები და გახსნეს რესტორანი, სადაც ერთხანს მომსვლელს მაღალი ხარისხის ხორცის მართლაც მშვენიერ მწვადებს სთავაზობდნენ. მაგრამ მადა ჭამაში მოდისო და როცა ხორცი შემოაკლდათ... ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ქალაქის გარეუბნებში მალე უკვალოდ გაქრნენ უპატრონო ძაღლები და კატები. მოხეტიალე ბიჭუნებმა კი მხოლოდ ამ ბედკრული ცხოველების ტყავებიღა აღმოაჩინეს. ატყდა საშინელი სკანდალი, რასაც „გამომგონებელი“ წყვილის მთელი ქონება შეეწირა. (გერმანული გაზეთი „ბილდი“).

ვინ არის კარს უკან?

იაპონიასა და საფრანგეთში სულ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს ე. წ. ტელეზარი. ბინის შესასვლელი კარის ზარის ღილაკი დაკავშირებულია მის ზემოთ დამაგრებულ ტელეკამარასთან და საკმარისია ვინმემ ზარი დარეკოს, რომ კამერა ირთვება და სახლის პატრონი ტელეეკრანზე ხედავს მასთან მოსულ სტუმარს (საკდესი).

ოჯახი 407 წლისაა

ბრეტანის მცხოვრებლები განსაკუთრებულად დღეგრძელი ხალხია. ამის გარდა საფრანგეთის ეს ნაწილი, თურმე, მრავალშვილიანი ოჯახებითაც გამოირჩევა. ამიტომ სწორედ იქ ტარდება უხუცესი ოჯახის (ჯამდება ოჯახის ყველა წევრის ასაკი) გამოსავლენი კონკურსებიც. გასულ წელს კონკურსში გაიმარჯვა ოჯახმა, რომლის საერთო ასაკმა 407 წელი შეადგინა („სელსკაია ჟიზნ“, № 144).

დათვი თუ მოგერია...

არხანგელსკელი ვინმე ი. ფიოდოროვი სოკოს შესაგროვებლად იყო ტყეში. ტყიდან მინდორზე გამოსვლისას, სულ რაღაც 200 მეტრში, სამი კარგა მოზრდილი დათვი შენიშნა. დათვებმა, დაინახეს თუ არა ადამიანი, საშინელი ღრიალით გამოიქცნენ მისკენ. ფიოდოროვიც უმალ მოწყდა ადგილს, მაგრამ მალე მიხვდა, რომ შორს ვერ გაიქცეოდა. ამიტომ შედგა, მიუბრუნდა დათვებს და ისეთი დაიღრიალა, რომ გაოგნებული მხეცები ერთ ადგილზე გაშეშდნენ, შემდეგ პირი იბრუნეს და ტყეს მისცეს თავი („ტრუდი“, № 170).

რა ვუყოთ... რძის მდინარეებს?

ვოლოგოდსკის ოლქის ვიტეგორსკის რაიონულ საბჭოში სოფელ დევიატინოს მცხოვრებთა საჩივარი შევიდა. თურმე, ნუ იტყვით და კერძო ძროხების პატრონმა დევიატინოელებმა არ იციან რა უყონ რძის ნამეტს და იძულებულნი ხდებიან ის უახლოეს წყალსაცავში ...ჩაღვარონ. როგორც „ომა-პრესი“ იუწყება, რაიონში გამუდმებით იზრდება კერძო საუთრებაში მყოფი პირუტყვის რაოდენობა, რძის მიმღები პუნქტების გახსნაზე კი ჯერაც არავის უფიქრია. თუმცა, არც დევიატინოელები უნდა გამოირჩეოდნენ დიდი მიზვედრილობით — თუ მაინც რძეში „იხრჩობიან“, სხვა თუ არა, რძის აბაზანები მაინც მიეღოთ.

სამოთხის „კარავი“

ლენინოგეტმა მიიღო სადგურ რაზლივთან მცხოვრები რამდენიმე ოჯახის განცხადება ლენინის სახელთან დაკავშირებული მემორიალური ობიექტების გამოყენების თაობაზე.

კერძოდ, რაზლივის მცხოვრებნი განცხადებაში წერდნენ, რომ თავიანთი თითქმის დაქცეული ქოხმახებიდან სიამოვნებით გადასახლდებოდნენ „შვენიერ ორსართულიან ფარდულში“, სადაც ოდესღაც ლენინი ცხოვრობდა. ერთმა ოჯახმა კი ლენინის ცნობილ „კარავში“ ცხოვრებაზეც თანხმობა განაცხადა.

განცხადების ავტორები თვლიან, რომ [illegible] ლენინიც, რომელიც „ყოველთვის თანაუგრძნობდა გაჭირვებულ [illegible] ადამიანებს“, მათ ამ „შენობებში“ ჩასახლების ნებას დართავდა. (ინტერფაქსი).

ქ. თბილისის № 5 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი აცხადებს დამატებით მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის ქართულ სექტორზე შემდეგ სპეციალობებზე:

1. ზეინკალ ავტოშემკეთებელი
2. ხარატი
3. ზეინკალ შემკეთებელი
4. ზეინკალ ამწყობი
5. ქაღალდის წარმოების ტექნოლოგ-ოსტატები

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების [illegible] ევთ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა ან სამხედროდან დემობილიზებულნი).

სწავლების ვადა ერთი წელია.

მოსწავლეები, რომლებიც ჩაირიცხული იქნებიან ერთწლიან ჯგუფებში მიიღებენ სტიპენდიას, თვეში 90 მანეთის ოდენობით. სწავლის პერიოდში მოსწავლეებს ეძლევათ ფულადი ანაზღაურება იმ სამუშაოებისათვის, რომლებსაც ისინი ასრულებენ საწარმოო სწავლების პროცესში.

სასწავლებლის კურსდამთავრებულები უზრუნველყოფილი იქნებიან სამუშაოთი მიღებული სპეციალობის მიხედვით.

სწავლის დრო ითვლება უწყვეტ სამუშაო სტაჟად.

სასწავლებელში ჩარიცხვა იწარმოებს უგამოცდოდ.

სასწავლებელში მიიღებიან 15-დან 30 წლამდე ასაკის გოგონები და ვაჟები.

სასწავლებელში ჩარიცხვის მსურველებმა უნდა შემოიტანონ განცხადება დირექტორის სახელზე არჩეული სპეციალობის მიხედვით.

განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

1. ატესტატი 11 კლასის დამთავრების შესახებ (დედანი)
2. სამედიცინო ცნობა
3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან
4. ფოტოსურათი 3X4, 4 ცალი

მსურველთა განცხადების მიღება წარმოებს 1991 წლის 1 სექტემბრამდე 9 საათიდან 17 საათამდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სასწავლებლის მმ[illegible] ომისიაში.

სწავლა დაიწყ[illegible] სექტემბერს.

სასწავლებლის მისამართია: ჩუღურეთის რაიონი, ართვინის ქ. № 53.

ელმენი: 95-23-72.

ავტობუსი № 29 კომუნარების ბაღიდან

დირექცია

ლორჯინება ორგო

ეკურდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაციები „ერეკლე აბაშიძე“ და ასევე ფირმა „არგო“.



სამეცნიერო-საწარმოო კოოპერატივი „დანერგვა“ გთავაზობთ:

ავტომობილების ძარის კოროზიისაგან კათოდური დაცვის ხელსაწყო „ჟანგამრიდ“-ს

ავტომობილის ძარის კოროზიისაგან დასაცავად მრავალ საშუალებათა შორის დღეისათვის იყენებენ ზედაპირის დაფარვას ელექტროფორეზული გრუნტით, საღებავით, მასტიკით, კონსერვანტებით და სხვა, მაგრამ მანქანა მაინც იჟანგება.

რას იტყოდით თუ შემოგთავაზებდნენ ხელსაწყოს, რომელიც პრაქტიკულად მთლიანად დაიცავს თქვენს ავტომობილს კოროზიისაგან?

ზღაპრების არ გვჯერა, არც სამეცნიერო ფანტასტიკის, სასწაულები არ ხდება — იტყვის რომელიმე სკეპტიკოსი. კოროზიის წარმოქმნის მრავალი მიზეზი არსებობს, ამიტომ ძნელია იპოვოთ მისი საწინააღმდეგო ერთადერთი საშუალება, და მაინც ასეთი საშუალება არსებობს. ეს გახლავთ ლითონის კოროზიისაგან კათოდური დაცვა.

კოროზია შედეგია ელექტროქიმიური რეაქციის, რომლის დროსაც ლითონის ზედაპირზე მიმდინარეობს ორი შეუღლებული პროცესი — ანოდური და კათოდური.

კოროზიის სიჩქარე განისაზღვრება კათოდური პროცესით, რომლის შენელება შესაძლებელია მეტალის ზედაპირზე განსაზღვრული სიდიდის დამცავი ელექტროპოტენციალის შექმნით. ეს მეთოდი წარმატებით გამოიყენება აგრესიულ სითხეებში მომუშავე ჭურჭლების, აგრეთვე გემების, მილსადენების დასაცავად.

ავტომობილებისათვის აღნიშნული მეთოდი ჩვენს რესპუბლიკაში გამოიყენება პირველად. ხელსაწყო, რომლის სახელწოდებაა „ჟანგამრიდი“, დამზადებულია სამეცნიერო-საწარმოო კოოპერატივ „დანერგვა“-ს მიერ. მასში გამოყენებულია მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები.

„ჟანგამრიდი“

— საიმედოდ დაიცავს თქვენს ავტომობილს კოროზიისაგან;

— ეფექტიანია იმ შემთხვევაშიც, თუ კოროზია უკვე დაწყებულია;

— მუშაობაში საიმედოა და მოგემსახურებათ მრავალი წლის მანძილზე;

— მოიხმარს უმნიშვნელო რაოდენობის დენის ძალას და პრაქტიკულად უვნებელია ავტომობილის ელექტროსისტემისათვის;

— კომპაქტური ხელსაწყოა, რომელიც შეგიძლიათ დაამონტაჟოთ თქვენ თვითონ. ხელსაწყოს შეძენა შეიძლება როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე გადარიცხვითაც.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს (კერძო პირებს) შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ ტელეფონებით: 36-02-94, 38-15-86, 72-39-41.

ხელსაწყოს შეძენა და მისი დამონტაჟება ავტომობილზე შეგიძლიათ:

ქ. თბილისში:

1. ს.გ. გარანტის საფირმო მაღაზიაში — გამსახურდიას პრ. №20;

2. №7 ავტოსატრანსპორტო საწარმოში — საბურთალოს ქ. №43.

ქ. ბათუმში:

1. სამეცნიერო-ტექნიკური მომსახურების ცენტრი „ტექნიკა“ — გორკის ქ. №78.

ქ. ფოთში:

1. მსუბუქი ტაქსომოტორების ავტოსატრანსპორტო საწარმო რვა მარტის ქ.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“.

მათ, ვინც სამზითვო საჩუქრების თადარიგს იჭერს, მათ, ვინც ჯერ მხოლოდ ოცნებობს ქორწინებაზე, ვისაც ახლახან შეეძინა ქალიშვილი, ვფიქრობთ ერთნაირად გაახარებს ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს მწერალთა დამოუკიდებელი ასოციაცია „გულანი“ და კოოპერატიული სტამბა „ქართული ფილმი“ გამოსაცემად ამზადებს **სამზითვო „ვეფხისტყაოსანს“.**

წიგნი შესანიშნავია თავისი გამოცემის ხარისხით. ტექსტი შესრულებულია მხატვრული ხელნაწერით.

დაე, სამზითვო ვეფხისტყაოსანი საწინდარი იყოს მომავალი ოჯახის ზნეობრივი ღირსების, სიფაქიზისა და სიმტკიცის და რაც მთავარია, ამ წიგნის შეძენით უკვდავყოფთ ჩვენი სათაყვანებელი ერის ძველისძველ ტრადიციას — ვეფხისტყაოსნის მზითვად გატანების ტრადიციას.

აბონემენტები შეგიძლიათ შეიძინოთ შემდეგ მისამართზე: **„გულანის“ გამომცემლობაში ლერმონტოვის ქუჩა 18.** ტელ. 99—76—55. **კოოპერატიულ სტამბა „ქართულ ფილმში“ დ. ალმაშენებლის გამზირი 164.** ტელ. 35—38—28. წიგნი გამოდის 5000 ტირაჟით.

ასე რომ იჩქარეთ!

...და თუ „ქორწინების თვეა ოქტომბერი“ თქვენ ამ დროისათვის უეჭველად ხელთ გექნებათ უძვირფასესი საჩუქარი — ხელნაწერი სამზითვო „ვეფხისტყაოსანი“.

ტურისტული მოგზაურობები საბჭოთა მანეთებში

ფირმა „ზეფსი“ გთავაზობთ:

1. უაღრესად პრესტიჟულ მოგზაურობას **შვეიცარიაში** მარშრუტით: თბილისი—ლენინგრადი—სტოკჰოლმი—ლენინგრადი—თბილისი. საგზურის ღირებულებაში შედის ოთხი დღის განმავლობაში სტოკჰოლმში უმაღლესი კლასის ოთხვარსკვლავიან სასტუმროში ცხოვრება, სამჯერადი კვება ბრწყინვალე რესტორანში, საექსკურსიო მომსახურება, 300 კრონის (დაახლოებით 50 დოლარის) გადახურდავება; აგრეთვე ორი დღის განმავლობაში მაღალი კლასის სასტუმროში ცხოვრება ლენინგრადში და თვითმფრინავით მგზავრობა ლენინგრადამდე და უკან.

საგზურის ღირებულება 6500 მანეთია.

ჯგუფები კომპლექტდება 3 და 17 ოქტომბრისთვის.

2. საზღვაო მოგზაურობას **გერმანიაში** კომფორტული თბომავლით „ანა კარენინა“

მარშრუტი: ლენინგრადი-კილი-ლენინგრადი.

კრუიზის ხანგრძლივობა 7 დღეა. ამას ემატება ორი დღის განმავლობაში ლენინგრადში მაღალი კლასის სასტუმროში ცხოვრება.

საგზურის ღირებულება კაიუტების კატეგორიების მიხედვით 4000 დან 6500 მანეთამდეა. ამ ფასში გათვალისწინებულია ტურისტთა ყველა ხარჯები მთელი მოგზაურობის განმავლობაში. ტურისტებს შესაძლებლობა აქვთ მანქანების ყიდვისა.

ჯგუფები კომპლექტდება 20,27 სექტემბრისთვის.

დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ მოგვმართონ მისამართზე: **თბილისი. შანიძის (ყოფილი კალანდაძის) ქ. №3. (სასტუმრო საქართველოსთან).** მიღების საათები: 11-18 მდე. დასვენების დღე ოთხშაბათი.

ტელ: 2[illegible]58.

Общественно-политическая газета

ტელეფონები: მიხაილი — 93-97-31;
პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56;
წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი ბამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

საქართველოს უურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ,ხოშარაულის 29.
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.
НАШ ИНДЕКС 66400

რედაქტორი
მერაბ ბალარჯიშვილი

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380096
მ. კოსტავას ქ. № 14.